ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ხუთშაბათი, 3 ნოემბერი, 2016 №261 (7187) ფასი: 50 თეთრი

## ლარის კურსი ბანკებში 2.48-ს მიუახლოვდა
გვ.6

3 ნოემბრიდან
აკაკი ბელიაშვილი
თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა.
ტომი 1
ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი




# მამუკა გამყრელიძე: „ივანიშვილმა ოპოზიცია მთლიანად გააფარჩაკა“

„ქართული ოცნების“ პიარტექნოლოგებმა ნაციონალებისგან ბოროტების ხატი შექმნეს“
გვ.3



## ვის დაემუქრა არჩევნების წინ ივანიშვილი

## კახა ოქრუაშვილი: „დიახ, მე ვაფინანსებდი ნაციონალურ მოძრაობას“
გვ.5





## ავთანდილ დემეტრაშვილი: „პრეზიდენტი პირდაპირი წესით უნდა იყოს არჩეული“
გვ.4

„ორპალატიანი პარლამენტი იმ საკითხსაც გადაწყვეტს, პარლამენტი ქუთაისში უნდა დარჩეს თუ არა“

## ჩეჩნეთის მოქალაქე საქართველოში თავშესაფარს ითხოვს
გვ.5

რას ედავება ტუმსა აბდურახმანოვი დევნილთა სამინისტროს

## გიგლა ბარამიძე: „ამერიკის კურთხევით, ორპარტიული სისტემისკენ წავედით“
გვ.2



ISSN 1987-9385

## აბაშიშვილი: „პრეზიდენტის არჩევის წესი აბსურდული თემაა“, „ოცნებამ“ ყველაფერი მოაგვარა და ესღა დარჩა?!“
გვ.4



# ვის დაემუქრა არჩევნების წინ ივანიშვილი

შორენა მარსაგიშვილი

## გიგლა ბარამიძე: „ამერიკის კურთხევით, ორპარტიული სისტემისკენ წავედით“



რა თათბირი ჩაატარა ივანიშვილმა არჩევნების წინ, რატომ დაიშალა პარტიები, რისი უნდა ეშინოდეს ხელისუფლებას, რატომ ამბობს „ოცნება“ საარჩევნო უბნების ხელახალ გადათვლაზე უარს, აპირებს თუ არა პოლიტიკიდან წასვლას? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

***– ბოლო პერიოდში პარტიებიდან ლიდერების წასვლამ მასობრივი სახე მიიღო. კარგა ხანია, არც თქვენ გამოჩენილხართ და პოლიტიკიდან წასვლა ხომ არ გადაწყვიტეთ?***

– არსად არ წავსულვარ და არც მომავალში ვაპირებ წასვლას. ჩვენი პარტია ბრძოლას აგრძელებს და მეც მათთან ერთად ვარ. რაც შეეხება ჩემს გაუჩინარებას, ეს დროებითია. ჯანმრთელობასთან დაკავშირებით შემექმნა პრობლემები და ამიტომ აღარ ვაქტიურობდი. ამ დღეებში ისევ ისეთი აქტიური გავხდები და ვილაცებს ტყუილად ნუ უხარიათ, რომ დემოკრატიულ მოძრაობაში რაღაც ცუდი ხდება. ყველაფერი კარგად არის და ჩვენი ბრძოლაც გრძელდება.

***– პარტიის ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ გადაცემა არჩევანში სკანდალური განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ ივანიშვილმა პირველ ოქტომბერს გამართულ თათბირზე მოითხოვა, ბურჯანაძემ საარჩევნო ბარიერი არ უნდა გადალახოსო. უფრო დეტალურად შეგიძლიათ, რომ ამ შეხვედრის შესახებ გვითხრათ?***

– ეს შეხვედრა ივანიშვილმა ვიწრო წრეში გამართა. შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე, 27 სექტემბერს, დასრულდა კარდაკარი, რომლის დროსაც მოსახლეობის გამოკითხვა მიმდინარეობდა თუ ვის აძლევდნენ ისინი არჩევნებზე ხმას. „ქართულმა ოცნებამ“ შედეგები ბიძინა ივანიშვილს წარუდგინა. ივანიშვილმა პირდაპირ და ხაზგასმით განაცხადა, რომ დემოკრატიულ მოძრაობას საარჩევნო ბარიერი არ უნდა გადაელახა.

ერთ-ერთი თანამდებობის პირი ადგა და უთხრა, რომ ამის გაკეთება შეუძლებელი იყო, რადგანაც დემოკრატიულ მოძრაობას ამომრჩევლის 10%-იანი მხარდაჭერა ჰქონდა და ის ბარიერს აუცილებლად გადალახავდა. ამაზე ივანიშვილმა უპასუხა: შენ თუ არ იცი, რა უნდა გააკეთო, მაშინ შენი შემცვლელი იოლად მოიძებნებაო.

***– შეგიძლიათ დაასახელოთ, ვისზეა საუბარი ან რამდენად სერიოზულია ის წყარო, რომელმაც ეს ინფორმაცია მოგაწოდათ?***

– ქალბატონ ნინოს ყველგან ძალიან ბევრი ნაცნობი ჰყავს და გამონაკლისი არც „ქართული ოცნებაა“. ეს ამბავი მას შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ მიაწოდა. ამდენად, ინფორმაცია ზუსტია. რაც შეეხება იმას, თუ ვის დაემუქრა ივანიშვილი ჩანაცვლებით, ვერც მის ვინაობას დავასახელებ. ჩვენ ვიცით ვისზეა საუბარი, მაგრამ ამ ადამიანის უხერხულ მდგომარეობაში ჩაგდება არ გვინდა. არჩევნების შედეგების მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ან იმ ადამიანმა გაითვალისწინა ივანიშვილის შენიშვნა, ან მისი შემცვლელი მოიძებნა.

ჩვენს ხელით არსებული ინფორმაციით, მორიგი თათბირი ყოფილმა პრემიერმა 4 ოქტომბერს გამართა, სადაც „ოცნების“ ლიდერებს კონკრეტული დავალებები მისცა. თქვა, რომ მომხდარიყო ფულის დარიგება და სუსიც უნდა გააქტიურებულიყო. ეს დავალებები პირნათლად იქნა შესრულებული და დემოკრატიული მოძრაობა პარლამენტს მიღმა დატოვეს.

არადა, ჩვენ იმაზე ბევრად მეტი ხმა მივიღეთ, ვიდრე ცესკომ დაგვიწერა. „ქართული ოცნება“ საარჩევნო უბნების ხელახალ გადათვლას სწორედ იმიტომ არ თანხმდება, იცის, რომ ძალიან აშკარა იქნება ის გაყალბება, რასაც 8 ოქტომბერს ჰქონდა ადგილი.

ჩვენ მსგავსად, დაბალი შედეგები დაუწერეს ლეიბორისტებს და თავისუფალ დემოკრატებსაც. არჩევნების წინ ჩატარებული გამოკითხვებით, რომელიც თავად „ოცნებამ“ ჩაატარა, ეს პარტიები ჩვენთან ერთად პარლამენტში არ უნდა შესულიყვნენ. ასეც მოხდა. პარლამენტს მიღმა დარჩენილი პარტიების ნაწილი დაიშალა, ჩვენი ბრძოლა კი სტრასბურში გაგრძელდება. აშკარაა, რომ აქ სამართალს ვერ ვიპოვით.

***– რა ჯინი უნდა ჭირდეს ყოფილ პრემიერს დემოკრატიული მოძრაობის?***

– მას პარლამენტში ჩვენნაირი ძალის მოხვედრა რამდენიმე მიზეზის გამო არ სურს. ჩვენ ვართ ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც არავის ვალი არა აქვს. „ქართულმა ოცნებამ“ შესანიშნავად იცის, რომ ჩვენ ყველანაირად შევეწინააღმდეგებით ნაციონალებთან კოაბიტაციას და დამნაშავეების დასჯას მოვითხოვთ. ხელისუფლებას კი ეს არ აწყობს, მას ნაციონალური მოძრაობა სჭირდება, რომ გამუდმებით მისკენ გაიშვიროს ხელი.

პარლამენტში ჩვენი შესვლა იმიტომაც არ უნდოდათ, რომ ჩვენ არც „ოცნების“ ქმედებებზე დავხუჭავდით თვალს და კონსტიტუციაშიც ასე მარტივად და უმტკივნეულოდ ვეღარ შეიტანდნენ ცვლილებებს.

***– „ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, ირაკლი კობახიძის თქმით, კონსტიტუცია ისეთი დამახინჯებულია, ჩვენ თუ გავაკეთილშობილებთ მას, თორემ ვეღარ დავაზიანებთო. სხვები ამბობენ, რომ კარგი ხალხი ვართ და საკონსტიტუციო უმრავლესობას ბოროტად არ გამოვიყენებთო.***

– „ოცნების“ რიგებში ბევრი ახლობელი მყავს, ისინი კარგი ადამიანები არიან და გამიხარდა, პარლამენტში რომ მოხვდნენ. პოლიტიკაში კარგი ადამიანობა არაფერს არ ნიშნავს, თანაც მაშინ, როცა ისინი გადაწყვეტილებების მიღებაში დამოუკიდებლები არ იქნებიან. ჩვენ ყველა უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ პარლამენტი იმ გადაწყვეტილებას მიიღებს, რასაც ივანიშვილი მოითხოვს.

ჩვენ დიდი ხნის წინ ვამბობდით, რომ „ოცნება“ ყველაფერს გააკეთებდა, რომ არჩევნებისთვის საპირწონედ მხოლოდ ნაციონალები დაეტოვებინა. ამას კატეგორიულად უარყოფდნენ ის პარტიები, რომლებიც კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ იყვნენ შეყუჟული. მაშინ არაფერს იმჩნევდნენ, თვალები მაშინ აეხილათ, იქიდან რომ გამოაპანღურეს. არჩევნების შემდეგ ისე გაიქცნენ საკუთარი პარტიებიდან, ოჯახის წევრებიც ვეღარ პოულობენ.

***– არჩევნები საქართველოში ოპოზიციურ პარტიებს სხვა დროსაც წაუგიათ, მაგრამ ასეთ მასობრივ გაქცევას პოლიტიკიდან ადგილი არ ჰქონია. თქვენ ამ გაქცევას რითი ხსნით?***

– ამ ადამიანებმა მიიხედ-მოიხედეს და მიხვდნენ, რომ ივანიშვილის გარეშე არაფერს წარმოადგენენ და ახალი გზების ძიება დაიწყეს.

პაატა ბურჭულაძემ წლის დასაწყისში საქველმოქმედო ფონდი რომ დააფუძნა, ამბობდა, პოლიტიკაში მოსვლას არ ვაპირებო. მაშინ სწორედ „ახალი თაობისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ვთქვი, რომ რამდენიმე თვეში ბურჭულაძე გამოვიდოდა და იტყოდა, რომ ხალხის მოთხოვნით პოლიტიკურ პარტიად უნდა გადაკეთდნენ. ჩემი ინტერვიუდან რამდენიმე თვეში ბურჭულაძემ ზუსტად ასეთი განცხადება გააკეთა. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი პროგნოზი ახლაც გამართლდება.

ჩემი პროგნოზი კი ასეთია: საკუთარი პარტიებიდან გამოქცეულები ახალ პარტიას შექმნიან. იტყვიან, რომ ეს ხალხის დაკვეთით გაკეთდა, რომ ამომრჩეველს დასავლური ორიენტაციის პარტია უნდოდა და კიდევ ბევრ წყალწყალა სიტყვებს მოაყოლებენ. მერე წავლენ და თავის თავს ბიძინას შესთავაზებენ.

***– რას ნიშნავს, ბიძინას შესთავაზებენ?***

– ეტყვიან, ჩვენ ვიქნებით ფსევდო-ოპოზიცია, მაგრამ „ოცნებაში“ არ შემოვალთ. სთხოვენ, ნუ გაგვწირავ. ზოგს თანამდებობა მოგვეცი, ზოგი დაგვაფინანსე. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში საკრებულოებში გაგვიყვანე, ნუ გამოგვჭრი ყელს და 4 წლის შემდეგ პარლამენტშიც მოგვახვედრე.

მათ განცხადებებში ასეთი ქვეტექსტებია. ამიტომაც არის, რომ ახლა აღმოაჩინეს, თურმე საკუთარ პარტიასთან შედარებით განსხვავებული ხედვები აქვთ.

***– ხომ შეიძლება მართლაც იყოს?***

– როგორ არ შეიძლება, პარტია არის ცოცხალი ორგანიზმი, სადაც ადამიანები მიდიან და მოდიან, მაგრამ წასვლა-მოსვლის დროს გააჩნია. როდესაც არჩევნებამდე 2 დღით ადრე ბაქიბუქობ, არჩევნებზე კი ნახავ, რომ მართლაც 0%-ანი ხარ და ივანიშვილი მიგათრევდა ყველგან. ამ კაცს ეს ამბავი არ დაუფასესე კუ და მორიელის არაკისა არ იყოს, კბენა დაუწყეს.

ახლა ცოტას დაისვენებენ, რაღაც ახალ პარტიას მოიფიქრებენ, ფასადად რამდენიმე მეტნაკლებად ცნობილ სახეს აიფარებენ და დაიწყება ბიძინას კარის ატალახება. შესთხოვენ, სხვა ოპოზიციას ჩაგვანაცვლეო.

***– ხომ სთავაზობდა რამდენიმე მათგანს ივანიშვილი თავისთან გადასვლას?***

– სთავაზობდა, მაგრამ იმ მომენტში ვეღარ გადაჯდნენ, ეგონათ, გაძვრებოდნენ და რაკი არ გამოუვიდათ, ახლა სხვა გზით ცდილობენ მასთან მოხვედრას. პარტიებიდან ლიდერების გაქცევაც ამისკენ გადადგმული ნაბიჯია.



***– თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ლიდერები შეთანხმებულად წავიდნენ, რომ ახალი პარტია შეექმნათ?***

– შეთანხმებული არ არიან, მაგრამ აქეთკენ მიდიან. აუცილებლად შესთავაზებენ თავის თავს.

***– მიიღებს ივანიშვილი ამათ შეთავაზებას? ზემოთ აღნიშნეთ, სულ მას კბენდნენო.***

– რატომაც არ მიიღებს? რატომ იუარებს ასეთ ერთგულ და სატელიტ პარტიას. თანაც ისინი იტყვიან, რომ აქვთ დასავლური ორიენტაცია და იმ ამომრჩევლის ხათრით გადაწყვიტეს პარტიის შექმნა, რომელმაც არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა.

***– დღეს ბევრი ექსპერტი ჩივის, რომ ივანიშვილმა პოლიტიკური ველი მოასუფთავა. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?***

– საქართველოში პოლიტიკური ველის მოსუფთავებაზე კურთხევა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ მისცა. ის რამდენიმე თვის წინ იმყოფებოდა თბილისში და მხოლოდ რამდენიმე პარტიის წარმომადგენლებს შეხვდა. ჯერ ერთი, ვის გაუგია არჩევნების წინ ასეთი ღია ქმედებები და მეორეც, თუ პოლიტიკოსებს ხვდები, მიიღე ყველა პარტიის ლიდერი.

ამ შეხვედრებიდან გამოჩნდა, რომ თავად „ოცნებამ“ შესთავაზა სახელმწიფო დეპარტამენტს და აშშ-ს საელჩოს, შუას გავკრეფთო. აშშ-ს საელჩო საქართველოში არის სასამართლოც, პარლამენტიც და მთავრობაც. აშშ-ს კურთხევით, ორპარტიული სისტემისკენ წავედით. პარლამენტს მიღმა კი ისეთ ძალებს დაიტოვებენ, რომლებიც ივანიშვილისთვის იქნება მისაღები. დღეისთვის ყველაზე მდიდარი ადამიანი ისაა საქართველოში. მსოფლიოში დემოკრატიულ წყობაში კი ყველაფერს ფინანსები წყვეტს.

და სწორედ ფინანსების არქონის გამო ვერ დაიწყო ოპოზიციამ გაყალბებული არჩევნების წინააღმდეგ აქციები. ხალხი შეიძლება გამოიყვანო, მაგრამ მას შენარჩუნება სჭირდება. ივანიშვილმა და „ოცნებამ“ ეს კარგად იცოდნენ და ამიტომაც გააყალბეს ეს არჩევნები. ამის იმედად ყოფნა დიდხანს არ შეიძლება, ხალხს შეიძლება ისე ამოუვიდეს ყველაფერი ყელში, რომ ლიდერების გარეშე გადაუაროს ყველას და ყველაფერს.

# „მერაბიშვილი და უგულავა პოლიტპატიმრები არიან“

## რას ამბობს პოლონელი დეპუტატი



თბილისში არჩევნების სადამკვირვებლო მისიით მყოფი პოლონეთის პარლამენტის დეპუტატი აცხადებს, რომ ვანო მერაბიშვილი და გიგი უგულავა პოლიტპატიმრები არიან.

ეს განცხადება მალგოჟატა გოშევსკამ ე.წ. მატროსოვის ციხესთან მას შემდეგ გააკეთა, რაც ვანო მერაბიშვილს და გიგი უგულავას შეხვდა და პატიმრობის პირობებს პირადად გაეცნო.

პოლონელი დეპუტატის განცხადებით, მისი ბოლო შეხვედრიდან დღემდე ყოფილი მაღალჩინოსნების პირობები არ გაუმჯობესებულა.



– ჩვენ აქტიურად ვაკვირდებით პოლიტპატიმრებს, ისევე, როგორც ოპოზიციურ პარტიებზე განხორციელებულ შემთხვევებს. ვთვლი, რომ ბატონი ვანო და ბატონი გიგი არიან პოლიტპატიმრები. მე ევროპარლამენტის სახელითაც ვსაუბრობ და ვფიქრობ, რომ სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებამ ეს ყველაფერი დაადასტურა, – განაცხადა დეპუტატმა.

მან აღნიშნა, რომ ეს მისი პირველი შეხვედრა არ არის მერაბიშვილსა და უგულავასთან.

– წლების განმავლობაში პირობები არ გაუმჯობესებულა. როგორც ევროკომისიის, ევროპარლამენტის, ასევე პოლონეთის პარლამენტის მხრიდან ადამიანის უფლებების კუთხით კვლავ განვაგრძობთ ჩვენს დაკვირვებას ამ პოლიტპატიმრების მიმართ ციხეში არსებული მდგომარეობის კუთხით, – განაცხადა პოლონეთის პარლამენტის დეპუტატმა მალგოჟატა გოშევსკამ.

ნიუპოსტი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა გამყრელიძე: „ივანიშვილმა ოპოზიცია მთლიანად გააფარჩაკა“

## „ქართული ოცნების“ პიარტექნოლოგებმა ნაციონალებისგან ბოროტების ხატი შექმნეს“

ნონა ცაბაძე

რა ვერ გათვალა ნაციონალურმა მოძრაობამ? რა პრეტენზიები აქვს მამუკა გამყრელიძეს პირველ ოპოზიციურ ძალასთან? რატომ ფიქრობს, რომ ოპოზიციური პარტიების დაშლა ხელოვნური პროცესია? რა კავშირი აქვს ამ პროცესთან ბიძინა ივანიშვილს? – „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ჩინეთში საქართველოს ყოფილი ელჩი, მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, სერიოზული პრეტენზიები გაქვთ ნაციონალური მოძრაობის მისამართით, არადა მათ მხარდამჭერად მოიაზრებოდით. რა მოხდა, რას არ პატიობთ, რაშია პრობლემა?***

– ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ მართლა სერიოზულ გაყალბებას ჰქონდა ადგილი. იყო ისეთი უბნებიც, სადაც გაყალბებაც არ იყო საჭირო, ისე წააგეს. მაგალითად, ვაკეში, ჩემი უბანია და ვიცი, რეალურად რა სიტუაციაა. ეს ვაკეა და საერთოდ არ აინტერესებდათ, რომ ბევრად უფრო კარგი იქნებოდა ელენე ხოშტარია გვენახა პარლამენტში, ვიდრე ბიძინა გეგიძე. ვაკეა და ნაციონალებს ჯორჯ ვაშინგტონი რომ მოეყვანათ, მაინც „ქართულ ოცნებას“ მისცემდა ხმას.

***– მერე რა, რომ ვაკეა? აქ თეთრს და შავს ვერ არჩევენ? ვაკეში ნაციონალებს არ გვაქვს მხარდაჭერაო. რატომ?***

– იმიტომ, რომ ვაკეა. აქ არ უყვართ ნაციონალები. ამას წინათ ძალიან საინტერესო რამ თქვა არჩილ გამზარდიამ, რასაც, სამწუხაროდ, ნაციონალური მოძრაობა არ ითვალისწინებს და არც მისი მხარდამჭერები – „ქართული ოცნების“ პიარტექნოლოგებმა ბრწყინვალედ იმუშავეს და ბოროტების ხატი შექმნეს ნაციონალური მოძრაობისგან.

მე ვიზიარებ არჩილის შეხედულებებს, რომ გაცილებით უფრო უადვილდებოდა ოპონირება ნაციონალურ მოძრაობასთან „ქართულ ოცნებას“, ვიდრე სხვა რომელიმე პარტიასთან. ის, რომ მოხდა სტიგმატიზება ნაციონალური მოძრაობის, არ აძლევს საშუალებას ნაცმოძრაობას, რომ მიიმატოს ამომრჩეველი იმაზე მეტი, ვიდრე მას საზოგადოდ ჰყავს.

***– ვერ იმუშავა კარგად ნაციონალურმა მოძრაობამ? წინასაარჩევნოდ სერიოზული შეცდომები დაუშვა?***

– კარგად იმუშავა „ქართულმა ოცნებამ“. იმუშავა ნეგატივზე, საერთოდ არ აინტერესებდათ პოზიტივი. ვინმემ მოისმინა მათი ნათქვამი, რომ ამას გავაკეთებთ, იმას გავაკეთებთ?! არა. უბრალოდ, აგინებდნენ ნაციონალურ მოძრაობას და დამთავრდა. დანარჩენი პარტიები, თავისთავად ჩამოდნენ. ერთადერთი ირმა ინაშვილი საიდანღაც ამოქაჩეს, ამოსწიეს ძირიდან და შეიყვანეს პარლამენტში. ისევ და ისევ თავისთვის, დამხმარედ.

***– ნაციონალებთან საბრძოლველად?***

– რა თქმა უნდა. ნაციონალური მოძრაობა დარჩა სრულიად მარტო ამ ველზე, რასაც თვითონვე შეუწყო ხელი. იმიტომ, რომ არასდროს ეხმარებოდა იმ „მესამე ძალას“, რომელსაც გამოჩენა უნდოდა. არ უნდოდა და იყოს ისე. „ოცნებამ“ შეძლო მისი სტიგმატიზაცია, ბოროტ ძალად ქცევა, ნაცებმა კი ეს დამღა ვერ მოიშორეს, ვერ



„მე არ მესმის, რა უნდა გააკეთოს სრულიად გაკოტრებულმა უსუფაშვილმა“

დაანახეს საზოგადოებას, რომ კარგი მეტი გააკეთეს, ვიდრე ცუდი. მეორეც – რომ იცი, რომ გაგიყალბებენ, ამისთვის წინასწარ უნდა მოემზადო. ნიკა რურუას შტაბი მუშაობდა ძალიან კარგად, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ უამრავ გაყალბებას ჰქონდა ადგილი.

***– თუმცა არჩევნების დღეს სულ იმაზე კეთდებოდა განცხადებები, რომ ნიკა რურუა პროვოკაციებს აწყობდა.***

– ასეთი გადაბრალება რომ იქნებოდა, ეს ფაქტია, მაგრამ თუ შენ იცი, რომ გაგიყალბებენ, შენზე ზეწოლა იქნება, ამის პრევენცია უნდა მოახდინო. თუ ვერ ახდენ ამის პრევენციას, მაშინ ის მაინც უნდა გააკეთო, რომ უცხოელმა დამკვირვებლებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა ცნონ, რომ შენ მართალი ხარ, შენ გაგიყალბეს.

***– ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია, ასევე თეთრი სახლი საქართველოს ხელისუფლებას ულოცავს არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას და აცხადებენ, რომ აქ დემოკრატია ყვავის. მაშინ ეს როგორ გავიგოთ?***

– ნაციონალურ მოძრაობას წინასწარ უნდა ემუშავა ამ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. შენ თუ თვითონ არ დაიწყებ ყვირილს და ამის ჩვენებას, რომ გიყალბებენ და მაქსიმალური საპროტესტო ტალღა არ იქნება შენი მხრიდან და ხალხიც არ აჰყვება ამ ტალღას, მაშინ საერთაშორისო ორგანიზაციებს საერთოდ არ აინტერესებთ, რა მოხდა.

ზეწოლას და მუქარას მართლა ჰქონდა ადგილი, ზუსტად ვიცი, რომ სანდრა რულოვსის უბანზე საშინელი ზეწოლა იყო. ტყის ძმები და დათო შენგელიას ჯგუფები დარბოდნენ და მოსახლეობას აშინებდნენ. მეტწილად სწორედ ამ მიზეზით თქვა სანდრა რულოვსმა მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი.

***– რომ დააკონკრეტოთ?***

– იმიტომ, რომ მას შეხვდა ერთ-ერთი ამომრჩეველი და უთხრა, გვცემენ, გვაშინებენო. სანდრამ უბრალოდ დაინდო ეს ხალხი. ნაციონალებს საერთოდ მეორე ტურშიც არ უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

***– ეს შეცდომა იყო?***

– მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რა შედეგიც დადგებოდა. გაჩერდნენ, მშვიდად მიიღეს მონაწილეობა მეორე ტურში, ახლა მშვიდად შედიან პარლამენტში, დაიჭირეს პასიური პოზიცია და ცხადია, რომ არავინ დაიწყებს შენთვის თავის გამოდებას. ყველას უნდა, რომ იყოს მშვიდი გარემო, ბიძინა ივანიშვილი კი ამ მშვიდ გარემოს აძლევს დასავლეთს. დღეს საქართველოში სრულიად მშვიდი გარემოა. ამას ყველანი ვხედავთ. რის ხარჯზეა, ეს სხვა საკითხია.

***– ანუ ნაციონალების მხრიდან შეცდომა იყო მეორე ტურში მონაწილეობის მიღება?***

– რა თქმა უნდა, დიდი შეცდომა იყო. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეღოთ მეორე ტურში მონაწილეობა! ოღონდ ეს იმ შემთხვევაში, თუ მანამდე ისინი იმუშავებდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და შეძლებდნენ მათი მხარდაჭერის მოპოვებას.

***– ანუ თქვენც სააკაშვილის პოზიციას იზიარებთ?***

– ახლა ამას აზრი აღარ აქვს. ახლა უნდა შევიდნენ. ახლა რომ არ შევიდნენ პარლამენტში, ეს გამოიწვევს პარტიის სრულ მარგინალიზაციას, ისედაც დასუსტებული პარტია სულ მთლად დაიშლება. ნათქვამია, ჩხუბის დასრულების მერე მუშტებს აღარ იქნევენო. ამას აზრი აღარ აქვს, ეს უნდა მომხდარიყო არჩევნების მეორე დღესვე. თუმცა გაჩუმდნენ. ჰოდა, თუ გაჩუმდნენ, შევიდნენ კიდეც პარლამენტში და იქაც ისხდნენ ჩუმად.

***– რატომ ჩუმად? პოლიტიკურ ამინდს ვეღარ შექმნიან?***

– რეალურად იქ მათი ხმა ჩაიკარგება. პოლიტიკურ ამინდს აბსოლუტურად ვეღარ შექმნიან. ის მომხიბვლელობა, რაც ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა, ის აქტიური პოზიცია, წინსვლა დამთავრდა. ეს აღარ იქნება. თან სულ აკადემიური ტიპები შევიდნენ. ირმა ინაშვილი რომ დაუდგება სალომე სამადაშვილს ოპონენტად, რომელი გაიმარჯვებს?! რა თქმა უნდა, კანონშემოქმედებით საქმიანობაში სალომე სამადაშვილი და ელენე ხოშტარია აჯობებენ ინაშვილს, მაგრამ როდესაც საქმე მიდგება ტრიბუნასთან ოპონირებაზე, ინაშვილი ჯიბეში ჩაისვამს სუყველას!

***– საუბარია იმის თაობაზეც, რომ სანდრა რულოვსს არ უნდა პარლამენტში შესვლა და მას გუნდი აიძულებს, რომ შევიდეს. ასეა?***

– არ ვიცი, მე არ ვფლობ კულუარულ ინფორმაციებს. ეს პირადად სანდრას გადასაწყვეტია თუ არ შევა სანდრა, მაშინ მის მაგივრად შევა სხვა, შალიკო ან ვალიკო. ან რა უნდა



ზეწოლას და მუქარას მართლა ჰქონდა ადგილი, ზუსტად ვიცი, რომ სანდრა რულოვსის უბანზე საშინელი ზეწოლა იყო. ტყის ძმები და დათო შენგელიას ჯგუფები დარბოდნენ და მოსახლეობას აშინებდნენ. მეტწილად სწორედ ამ მიზეზით თქვა სანდრა რულოვსმა მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი



გააკეთოს სანდრამ პარლამენტში, ხმას ამოიღებს და იბრძოლებს?! პრაგმატული ევროპელი ტიპია და ხვდება, რომ ვერაფერს გახდება და ეს საკითხი არც აინტერესებს. პირადად მე აბსოლუტურად უმნიშვნელოდ ვთვლი, სანდრა რულოვსი იქ შევა თუ არ შევა. ის მიშა სააკაშვილის ცოლია, თორემ სხვა თვალსაზრისით, ის რიგითი წევრია ნაციონალური მოძრაობის.

***– კარგად ვხედავთ, რაც ხდება ოპოზიციურ ფლანგზე. საუბარია, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია თითქმის აღარ გვყავს. რა პროცესი დაიწყო? გვესმის შეფასებები, რომ ეს არის მიზანმიმართული პროცესი, რომ რაც დაიქადნა ივანიშვილმა, იმას ასრულებს. ასეა?***

– ივანიშვილი ასრულებს ყველაფერს ხუთიანზე. რაც თქვა, ზუსტად იმას აკეთებს! რაც ხდება, ეს შემოქმედებითი პროცესია ივანიშვილის. მან მთლიანად გააფარჩაკა ოპოზიცია თავიდან ბოლომდე. აჩვენა, რა ღირს თავისუფალი დემოკრატები, რა ღირს რესპუბლიკური პარტია, თურმე რა ღირს გირჩი. ერთადერთი პარტია, რომელიც შემორჩა, ეს არის ახალი საქართველო, რატომღაც ამაზე ხმას არავინ იღებს.

***– ვაშაძის პარტიას გულისხმობთ?***

– სწორედ. მე სულ ვიძახდი, რომ ეს პარტია არის მომავლის პარტია. უაღრესად საინტერესო პარტიაა. პირველივე დღესვე დაეტაკა ნაციონალური მოძრაობა და გამყიდველი და გათახსირებული ეძახა. გამყიდველია თუ რაც არის, ფაქტია, რომ ძალიან კარგ იდეებს აჟღერებს. ამინდს ნამდვილად შექმნის პოლიტიკურ ველზე.

***– დავით უსუფაშვილი აპირებს ახალი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებას.***

– ესეც იგივე იქნება, რაც იყო. გინდა შეწვი, გინდა მოხარშე. სრულიად გაკოტრებულმა დავით უსუფაშვილმა და რესპუბლიკური პარტიის ყოფილმა წევრებმა, რომლებიც ასევე სრულიად გაკოტრებულები არიან პოლიტიკურად, რა უნდა გააკეთონ?!

***– ითქვა, რომ ისევ ივანიშვილის დაფინანსებით შეიქმნება ეს ახალი ძალა.***

– რა თქმა უნდა, შეიქმნება, რომელიც იქნება ლელვის ფოთოლი! ლელვის ფოთლის როლში კი ძალიან ბევრი ისურვებს ყოფნას.

***– რატომ? ასე მომხიბვლელია?***

– იმიტომ, რომ გარკვეული დატვირთვა აქვს ლელვის ფოთოლს, აქ მარტო უხერხულ მდგომარეობაში ყოფნის მომენტი არ არის, შესაბამისად, ბევრი მოისურვებს ამ პოზაში ყოფნას. ბიძინა ივანიშვილმა ჩაკლა პროცესი, არაფერი ხდება. ხომ ხედავთ, არავინ არაფერს აპროტესტებს. ხალხს ჩუმად სახლში ჯდომა ურჩევნია, თუნდაც ქვეყანაში იყოს ჭაობი.

***– ანუ ბიძინა ივანიშვილი კარგი პოლიტიკური მოთამაშე აღმოჩნდა?***

– ბრწყინვალე! მე ამას ყოველთვის ვაღიარებდი. ყოველთვის ვამბობდი, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ძალიან საშიში პიროვნება.

## დავით უსუფაშვილი „ქართული ოცნების“ ლიდერებს შეხვდა

„ქართული ოცნების“ ლიდერები – გია ვოლსკი, მანანა კობახიძე და გიორგი კახიანი პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს შეხვდნენ.

როგორც მმართველის გუნდის წევრებმა განაცხადეს, შეხვედრაზე მეცხრე მოწვევის პარლამენტის შეკრებასთან დაკავშირებით საორგანიზაციო საკითხებზე ისაუბრეს.

გია ვოლსკის თქმით, გაზაფხულზე გადაწყდება, ითანამშრომლებენ თუ არა დავით უსუფაშვილთან.

– გაზაფხულს დაველოდოთ, მე ვფიქრობ, რომ დავით უსუფაშვილი პარლამენტის წარმატებული თავმჯდომარე იყო. მნიშვნელოვნად შეამცირა მან თავისი საქმიანობის დიაპაზონი, როდესაც პარტიულ საქმიანობაში გადავიდა და პარტიამაც დიდად ვერ გამოიჩინა თავი პოლიტიკური მიმართულებებით.

ვნახოთ, როგორ დავით უსუფაშვილს ვიხილავთ გაზაფხულზე, რა საკითხები ექნება პრიორიტეტული, რა თემებს დააყენებს და მერე განვსაზღვროთ. თანამშრომლობას გარკვეული ფორმატი სჭირდება, საკითხები და წინადადებები სჭირდება, ასევე რაღაცის ჩამოყალიბება, თორემ ამ ქვეყანაზე ბევრი გონიერი ადამიანი დადის, – განაცხადა ვოლსკიმ.

შეგახსენებთ, რომ ჯერ-ჯერობით უცნობია, ზუსტად როდის შეიკრიბება შემდეგი მოწვევის პარლამენტი, თუმცა სავარაუდოდ, საკანონმდებლო ორგანოს სხდომა 19 ნოემბერს გაიმართება.

ნიუსპრესი

## დავით ზურაბიშვილი: „ქართულ პოლიტიკაში აპოკალიფსური პერიოდი დადგა“

– რესპუბლიკური პარტიის შიგნით პარტიის განვითარებაზე განსხვავებული ხედვები იყო.

ამის შესახებ რესპუბლიკური პარტიის წევრმა დავით ზურაბიშვილმა „კვირის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.




ზურაბიშვილს მიაჩნია, რომ ლიდერების მხრიდან პარტიის დატოვება პარტიის განვითარების სხვადასხვა მოსაზრებებს უკავშირდება.

– ამ ადამიანებმა, შიდა ომს და შიდა დაპირისპირებას ამჯობინეს, პარტიიდან წასულიყვნენ. იყო განსხვავებული ხედვები პარტიის შემდგომი განვითარების გზებზე. ზოგს ის უკვირს, რომ წავიდნენ ლიდერები, ზოგს კი ის, ამდენ ხანს როგორ შეინარჩუნა რესპუბლიკურმა პარტიამ ერთობა, – განაცხადა დავით ზურაბიშვილმა.

იგი აპოკალიფსურ შედეგს უწოდებს იმ მოცემულობას, რაც არჩევნების შემდეგ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში შეიქმნა. ზურაბიშვილი სამომავლოდ გარკვეულ გადაჯგუფებებს ოპოზიციურ სპექტრში არ გამორიცხავს.

– დადგა აპოკალიფსური შედეგი ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, ჩვენ ძალიან მძიმე შედეგი მივიღეთ და უნდა დავიბრუნოთ ამომრჩეველი. შევალთ თუ არა ვილაცასთან კონტაქტში. ეს დამოკიდებულია ღირებულებათა დამთხვევებზე, თუმცა არაფერს გამოვრიცხავ, – განაცხადა დავით ზურაბიშვილმა.

ნიუსპრესი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ავთანდილ დემეტრაშვილი: „პრეზიდენტი პირდაპირი წესით უნდა იყოს არჩეული“

ნათია ხურცილავა



„დღეს პრეზიდენტი არის მშვიდობიან ვითარებაში არბიტრი, საომარ ვითარებაში კი ერთპიროვნული მმართველია“

## „ორპალატიანი პარლამენტი იმ საკითხსაც გადაწყვეტს, პარლამენტი ქუთაისში უნდა დარჩეს თუ არა“

კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების შესახებ „ახალი თაობა“ კონსტიტუციონალისტ ავთანდილ დემეტრაშვილს ესაუბრა.

***— ბატონო ავთანდილ, თქვენ ხელმძღვანელობდით სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას, რომელმაც კონსტიტუციაში შეიტანა ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც სუპერ საპრეზიდენტო მმართველობა შეიცვალა. თუმცა, ბოლომდე მაინც გარკვეული არ არის, მმართველობის რა სისტემა, მოდელი გვაქვს დღეს.***

— დღეს გვაქვს სისტემა, რომელიც ახლოს არის საპარლამენტო რესპუბლიკასთან. რა თქმა უნდა, დაშორებული არის როგორც საპრეზიდენტო, ისე ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკისგან და გადახრილი არის საპარლამენტო რესპუბლიკისკენ, მისი მმართველობის სისტემისკენ.

***— სრულ საპარლამენტო მოდელამდე რა ნაბიჯები აკლია ამ სისტემას, ორპალატიანი პარლამენტი?***

— ორპალატიანი პარლამენტი დამახასიათებელია როგორც საპრეზიდენტო, ნახევრად საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო რესპუბლიკებისთვის. ამერიკის შეერთებული შტატები საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, მაგრამ ორპალატიანი პარლამენტი აქვს. ასევე, გერმანია არის საპარლამენტო ფედერაციული რესპუბლიკა და ორპალატიანი პარლამენტი აქვს. ამდენად, ორპალატიანი პარლამენტი არ არის საპარლამენტო რესპუბლიკის ნიშანი.

***— თქვენ, რამდენადაც ვიცი, ორპალატიანი პარლამენტისკენ იხრებით. ასეა?***

— კარგი იქნება, თუ 2020 წელს არჩევნები ორპალატიან პარლამენტში ჩატარდება. ეს ძალიან ბევრ რამეს შეუწყობს ხელს.

***— კონკრეტულად?***

— თუნდაც გადაწყდება პარლამენტის ადგილსამყოფლის საკითხი და აღარ იქნება დებატები ამ საკითხზე, უნდა დარჩეს პარლამენტი ქუთაისში თუ არ უნდა დარჩეს. ქვედა პალატა იქნება თბილისში და ზედა პალატა, სენატი, ქუთაისში, რაც ასევე არის ტერიტორიული მოწყობის ერთ-ერთი ნიშანი.

თქვენს კითხვას რომ დავუბრუნდე, თუ რა აკლია საპარლამენტო რესპუბლიკამდე არსებულ მოდელს, გეტყვით, რომ არსებული სისტემის ოპონენტები ამბობენ, რომ პრეზიდენტი აუცილებლად უნდა იყოს არა ხალხის მიერ არჩეული, არამედ პარლამენტის ან სხვა კოლეგიური ორგანოს მიერ.

***— თქვენი პოზიცია როგორია?***

— არის საპარლამენტო რესპუბლიკები, სადაც პრეზიდენტი პირდაპირი წესით აირჩევა. მაგალითად, ავსტრიაში. იგივე შეიძლება თურქეთზე ითქვას, ბოლოს ერდოღანი საყოველთაოსახალხო წესით იქნა არჩეული. ამიტომ ვამბობ, რომ ეს არ არის აუცილებელი ნიშანი საპარლამენტო რესპუბლიკის. სხვა საკითხია პრეზიდენტის უფლებამოსილებები.

ამბობენ, რომ პრეზიდენტს არ უნდა ჰქონდეს ის დიდი უფლებამოსილებები, რომლებიც საომარი და საგანგებო მდგომარეობის დროს აქვს. საომარი მდგომარეობის დროს პრეზიდენტი გამოსცემს დეკრეტებს, კანონის ძალის დეკრეტებს, არის ერთპიროვნული მმართველი და მის აქტებს არ სჭირდება პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაცია. ანუ საომარი მდგომარეობის დროს, დღევანდელი კონსტიტუციით, პრეზიდენტი ქვეყანაში ერთპიროვნული მმართველია.

სხვა რა უფლებამოსილებები უნდა წაერთვას, ჩემთვის წარმოუდგენელია. მისი საკანონმდებლო ვეტო მოკრძალებულია, რადგან ვეტოს გადალახვა, მით უფრო დღევანდელ პარლამენტს, ძალიან ადვილად შეუძლია. რაც შეეხება მის აღმასრულებელ ვეტოს, რომელიც მთავრობის ფორმირების პროცესს ეხება, ეს შეიძლება შეეზღუდოს. სულაც არ არის საჭირო, რომ პრეზიდენტს ჰქონდეს პარლამენტის დათხოვნის უფლება.

***— პირდაპირი წესით როდესაც არ იქნება პრეზიდენტი არჩეული, სახალხო ლეგიტიმაცია როდესაც არ ექნება მას, ასეთი პრეზიდენტის დატვირთვა მხოლოდ სიმბოლური იქნება?***

— თუ შევუნარჩუნებთ იმ უფლებამოსილებებს, რომლებიც აქვს დღეს, მაშინ არ იქნება სიმბოლური.

***— მაგრამ რამდენად უნდა შეუნარჩუნდეს პარლამენტის ან სხვა ორგანოს მიერ არჩეულ პრეზიდენტს ის უფლებამოსილებები, რომლებიც აქვს, მაგალითად, საომარ ვითარებაში იყოს ქვეყნის ერთპიროვნული მმართველი?***

— შეიძლება. თუ შევუნარჩუნებთ, მაშინ არ იქნება ნომინალური ფიგურა. დღევანდელი გაგებით პრეზიდენტი არის არბიტრი მშვიდობიან პერიოდში, საომარ ვითარებაში კი — ერთპიროვნული მმართველი.

***— „ქართული ოცნების“ პოზიცია, თუ როგორი წესით უნდა იყოს პრეზიდენტი არჩეული, ჯერ ცნობილი არ არის, მაგრამ საუბარია არაპირდაპირი წესით არჩევაზე.***

— „ქართული ოცნების“ პოზიცია ჯერ აშკარად არ არის გამოხატული პრეზიდენტის პირდაპირი თუ ირიბი წესით არჩევასთან დაკავშირებით, მაგრამ ფაქტია, რომ 2018 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ თავისი კანდიდატი ეყოლება და ეს არ იქნება მარგველაშვილი.

***— თქვენ კალაძეზე მიანიშნებთ?***

— მე არა, პრესა. კახი კალაძე, მისი პოლიტიკური კაპიტალის, მისი მსოფლმხედველობის, ჯანსაღი ამბიციის მიხედვით არ დაეთანხმება, რომ სიმბოლურ ფიგურად იყოს წარმოდგენილი.

***— თქვენი პოზიცია როგორია, პრეზიდენტი პირდაპირი წესით უნდა იყოს არჩეული, ამ მოდელით მას სჭირდება ხალხის ლეგიტიმაცია?***

— 20 წელია, ვამბობ, რომ პრეზიდენტი პირდაპირი წესით უნდა იყოს არჩეული. ეს გავიტანე კიდეც 1995 წელს და 2010 წელსაც. იყო წინადადება, რომ პრეზიდენტი ყოფილიყო არჩეული არაპირდაპირი გზით. მათ შორის 2010 წელს ბერლინში ირაკლი კობახიძე ამბობდა, რომ პრეზიდენტი არ უნდა იყოს პირდაპირი წესით არჩეული, მაგრამ მე ახლაც ჩემს პოზიციაზე ვრჩები სახალხო სუვერენიტეტის პრინციპიდან გამომდინარე, რომ პრეზიდენტი პირდაპირი წესით უნდა იყოს არჩეული. მით უმეტეს, იმ სიტუაციაში, როდესაც პრეზიდენტის ინსტიტუტი რჩება ერთ-ერთ ინსტიტუციად, რომელსაც შეუძლია დააბალანსოს პოლიტიკური კონფიგურაცია.

***— რას გულისხმობთ?***

— პარლამენტში ერთ პარტიას აქვს კონსტიტუციური უმრავლესობა, აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის, საკონსტიტუციო სასამართლოსთან და საერთო სასამართლოებთან ერთად, მას შეუძლია დააბალანსოს ეს უმრავლესობა.

***— ჩვენნაირი ტიპის ქვეყნისთვის მმართველობის რა მოდელი იქნება ოპტიმალური?***

— ჩვენ უნდა ვიფიქროთ, თუ რა სჭირდება ქვეყანას ამ ეტაპზე. მე არ მიყვარს მოდელებით საუბარი.

***— რა სჭირდება?***

— წმინდა საპარლამენტო რესპუბლიკაზე რომ გადავიდეთ, ძალიან ღრმა და დამაჯერებელი არგუმენტები უნდა იყოს წარმოდგენილი, დიდი ანალიზი უნდა მოხდეს, სანამ ამ გადაწყვეტილებას მივიღებთ. მხოლოდ პოლიტიკური კონიუნქტურიდან არ უნდა გამოვიდეთ.

***— რატომ, რა რისკებს შეიცავს საპარლამენტო რესპუბლიკა? ოკუპირებულ რეგიონებს ხომ არ უკავშირდება ეს სიფრთხილე?***

— პოსტსაბჭოური ქვეყანა, გარდა მოლდოვისა, მე არ მეგულება, სადაც საპარლამენტო მოდელი იყოს. ჩვენ დამაბალანსებელი ძალა გვჭირდება და ეს შეიძლება იყოს მაღალი ლეგიტიმაციის პრეზიდენტი.

***— ბატონო ავთანდილ, ახალ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში თუ შემოთავაზება იქნება, მიიღებთ მონაწილეობას?***

— საკმაოდ რთული პროცედურა არსებობს კონსტიტუციის გადასინჯვის, პრეზიდენტსაც აქვს თავისი ვეტო. თუ მაინც სახელმწიფო კომისიის შექმნის გზით წავალთ, არავის უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი უმრავლესობა, კონსენსუსით უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება.

***— თქვენ ითანამშრომლებთ?***

— „ქართულ ოცნებაში“ არიან ძლიერი კონსტიტუციონალისტები, პირველ რიგში, ირაკლი კობახიძეს დავასახელებ. თუ ასეთი პატივი იქნება ჩემ მიმართ გამოთქმული, მივიღებ მონაწილეობას, ეს ჩემი პროფესიული მოვალეობაა. მე ჩემი პოზიცია მაქვს, კონსტიტუციის სრული გადასინჯვა არ არის მიზანშეწონილი. რა თქმა უნდა, არის სეგმენტები, რომლებიც უნდა გასწორდეს.

# აბაშიშვილი: „პრეზიდენტის არჩევის წესი აბსურდული თემაა“, „ოცნებამ“ ყველაფერი მოაგვარა და ესლა დარჩა?!“



პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით დაწყებულ დისკუსიას პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გამოეხმაურა.

გიორგი აბაშიშვილის თქმით, ამ თემის გაჟღერება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის მხრიდან ჯერ კიდევ პირველი ტურის დასრულებისთანავე მოხდა.

— „ქართულ ოცნებას“ აქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა და მის წინაშე დგას დილემა — რაში გამოიყენოს. რისთვის მიანიჭა საზოგადოებამ მანდატი „ქართულ ოცნებას“? იმისთვის, რომ ასეთ უტოპიურ თემებზე ესაუბრა თუ იმისთვის, რომ უმუშევრობა დაეძლია, უკეთესი ჯანდაცვა, განათლება და ა.შ. ყოფილიყო? — კითხულობს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

მისი აზრით, ეს არის სრულიად აბსურდული თემა და ამ აბსურდულ თემაზე ბევრი ადამიანი მსჯელობს.

— შეგნებულად ვიკავებდით ამაზე თავს. მთავარი კითხვა მაქვს — ამ საკითხის გარდა, ყველა საკითხი მოგვარებულია და ესლა დაგვრჩა? როდესაც რაღაცის ცვლილებას ვგეგმავთ, ხომ ის უნდა განვსაზღვროთ, რატომ არის ეს ცვლილება საჭირო? დღემდე ვერ მოვისმინეთ წონადი არგუმენტი იმისა, თუ რატომაა ეს საჭირო. თუ ვინმეს ჰგონია, რომ პრეზიდენტის არჩევის ცვლილება ნომერ პირველი საკითხია, მაშინ სერიოზული დისკუსია შეუძლებელია, — აცხადებს ბ-ნი აბაშიშვილი.

მისი თქმით, პრეზიდენტის ინსტიტუტი თავის ფუნქციას წარმატებით ასრულებდა და ბევრი საკითხი სწორედ პრეზიდენტის ჩარევით გადარჩა, მათ შორის, მოსმენების და ეროვნული ბანკის შესახებ კანონები.

— პრეზიდენტის ინსტიტუტი არის მთავარი ბალანსის შემქმნელი ხელისუფლების შტოებს შორის, პრეზიდენტის ინსტიტუტის საშუალებით მრავალი საკითხი გადარჩა ამ ქვეყანაში, რომელიც შეიძლება საერთოდ არ გვქონოდა ან გვქონოდა მახინჯი ფორმით. სადაც პრობლემა არ არსებობს, რატომ ვიწყებთ იქიდან? — კითხულობს გიორგი აბაშიშვილი.

გიორგი აბაშიშვილის თქმით, პრეზიდენტის ინსტიტუტზე შეტევა ხდება იმისთვის, რომ ამ განცხადებებით ვინმემ ვინმეს ასიამოვნოს.

— თუ არა ცალკეული ახირებები, რომ ვინმემ ვინმეს ასიამოვნოს და პრეზიდენტის ინსტიტუტზე და პრეზიდენტზე რაიმე თქვას, სხვა რეალური მიზეზი აქ არ არსებობს. — განაცხადა აბაშიშვილმა.

# სერგო რატიანი: „ქართული ოცნებას“ უნდა, რომ 2018 წელს საპრეზიდენტო არჩევნები არ ჩატარდეს“



— „ქართული ოცნება“ ყველაფერს აკეთებს, რომ 2018 წელს საპრეზიდენტო არჩევნები არ ჩატარდეს, რადგან იციან, რომ დამარცხდებიან.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა სერგო რატიანმა განაცხადა.

მისივე თქმით, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისთვის, ასევე ბიძინა ივანიშვილისთვის ყველაზე დიდ საფრთხეს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები წარმოადგენს.

— მათ იციან, რომ 2018 წელს ისინი უბრალოდ დამარცხდებიან და ამიტომ აკეთებენ ყველაფერს, რომ 2018 წელს საპრეზიდენტო არჩევნები არ ჩატარდეს. რაც შეეხება მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილების შეკვეცას, ყველამ იცის, რომ მას შემდეგ, რაც მარგველაშვილის პოზიციები დაშორდა „ქართული ოცნების“ პოზიციებს, მათ მცდელობაც ჰქონდათ, რომ მარგველაშვილის უფლებამოსილებები ვადაზე ადრე შეეკვეცათ. წინა პარლამენტში ამაზე საუბარი იყო, — განაცხადა სერგო რატიანმა.

**ინტერპრესნიუსი**

# ვახუშტი მენაბდე: „თუ პრეზიდენტის არჩევა ირიბი წესით მოხდება, მაშინ ორპალატიანი პარლამენტიც უნდა ამოქმედდეს“

კონსტიტუციის სამართლის სპეციალისტის, ვახუშტი მენაბდის შეფასებით, თუკი გადაწყვეტილება პრეზიდენტის ირიბი წესით არჩევასთან დაკავშირებით იქნება მიღებული, მაშინ ორპალატიანი პარლამენტიც უნდა ამოქმედდეს.

როგორც მენაბდემ ინტერპრესნიუსთან საუბრისას განმარტა, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შესაბამის ჯგუფში ორპალატიანი პარლამენტის ამოქმედების საკითხი პირდაპირ არ დასმულა, მაგრამ ერთ-ერთი განხილვის დროს იყო აზრთა სხვადასხვაობა, საქართველოს პარლამენტი უნდა ყოფილიყო ერთპალატიანი თუ ორპალატიანი.

— მაშინ რამდენიმე ადამიანი და, მათ შორის ვიყავი მეც, ამბობდა, რომ ორპალატიანი პარლამენტი ძალაუფლების უკეთეს ბალანსს მოგვცემს, მით უფრო, თუ ის სხვადასხვა დროს, სხვადასხვა წესით იქნება არჩეული.

იყო საწინააღმდეგო მოსაზრებებიც.



თუკი საკონსტიტუციო რეფორმის კიდევ ერთი ეტაპი დაიწყება, ვფიქრობ, რომ ორპალატიან პარლამენტზე გადასვლის საკითხი დღის წესრიგში აუცილებლად უნდა დადგეს.

თუ ხელისუფლების დანაწილებაზე ვსაუბრობთ, უნდა ვისაუბროთ, ხელისუფლების დანაწილებაზე არა მხოლოდ ხელისუფლების შტოებს შორის, არამედ ხელისუფლების შტოებს შიგნითაც, რათა ისეთი შემთხვევები, როგორიცაა საკონსტიტუციო უმრავლესობა დღევანდელ პარლამენტში, დაიზღვეს მეორე პალატით, რომელიც სხვა დროს, სხვა წესით იქნება არჩეული, — განუცხადა ინტერპრესნიუსს ვახუშტი მენაბდემ.

მისივე თქმით, თუკი ქვეყანა კლასიკურ საპარლამენტო მართვის მოდელზე გადავა და პრეზიდენტი არაპირდაპირი წესით აირჩევა, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ორპალატიანი პარლამენტის ამოქმედება.

— საფრთხეები, რომლებიც პრეზიდენტის ირიბი წესით არჩევას შეიძლება ჰქონდეს, შეიძლება დაიზღვეს ორი მექანიზმით — პარლამენტის ორი პალატით და ძლიერი რეგიონალური ხელისუფლების შექმნით. ორპალატიან პარლამენტს და რეგიონალურ წარმომადგენლობას შეუძლია მინიმუმამდე შეამციროს რისკები, რაც პრეზიდენტის ირიბი არჩევის შემთხვევაში გვექნება, — განაცხადა ბ-მა მენაბდემ

# კახა ოქრიაშვილი: „დიახ, მე ვაფინანსებდი ნაციონალურ მოძრაობას“

შორენა მარსაგიშვილი

**აქვს თუ არა ნაცმოძრაობის ლიდერებთან კავშირი, რატომ აფინანსებდა ყოფილ ხელისუფლებას, როდის აგუგუნებდა საქართველო? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ დმანისის მაჟორიტარი დეპუტატი კახა ოქრიაშვილი ესაუბრება.**

***– რამდენიმე დღის წინ თქვენ ნაციონალური მოძრაობა დესტრუქციულ ოპოზიციურ ძალად მოიხსენიეთ. თქვენი ოპონენტები ამბობენ, რომ ასეთი შეფასების გაკეთების უფლება არ გაქვთ, რადგან წლების მანძილზე აფინანსებდით ამ პარტიას.***

– დიახ, მე ვაფინანსებდი ნაციონალურ მოძრაობას. ეს არ ყოფილა დაფარული. ჩემი ურთიერთობა ყოფილ ხელისუფლებასთან საყოველთაოდ არის ცნობილი. მე მქონდა საიმისო მიზეზი, რომ ნაცმოძრაობა დამეფინანსებინა. გულწრფელად ვიტყვი, რომ მომწონდა ის პროცესები, რომლებიც 2004 წელს დაიწყო.

***– მაინც რა მოგწონდათ?***

– თუნდაც ის, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მოსაწყობად ქრთამს აღარ იღებდნენ, მომწონდა პოლიციის რეფორმა, მომწონდა გზების მშენებლობა. ეს ყველას მოსწონდა, მათ შორის ბიძინა ივანიშვილსაც. ის ამ რეფორმების ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამფინანსებელი იყო.

მერე დაიწყო ნეგატიური პროცესები, რამაც ყველა ის პოზიტივი გადაფარა, რაც ნაცმოძრაობის მოსვლას მოჰყვა. ამის შემდეგ ბევრი გაემიჯნა მათ.

***– თქვენ როდიდან შეამჩნიეთ ნეგატივი?***

– 2004-2008 წლებში უკვე გამოჩნდა ნეგატივი, მაგრამ პოზიტივი იმდენად მეტი იყო, რომ უარყოფითი გადაფარა. 2008-2012 წლებში პირიქით იყო ყველაფერი. უსამართლობამ კატასტროფული მასშტაბები მიიღო. ამან განაპირობა ის, რომ ხალხმა ნაციონალური მოძრაობა ქვეყნის მმართველობას ჩამოაშორა.

***– როდესაც ნეგატივზე საუბრობთ, ალბათ ბიზნესის შევიწროვებასაც გულისხმობთ. იმ პერიოდში ბევრს წაართვეს ბიზნესი, ბევრს წილში ჩაუჯდნენ. თქვენი ბიზნესი გადაურჩა ამ ყველაფერს?***

– ბიზნესი ისეა მოწყობილი, რომ არაა აუცილებელი, ეს ყველაფერი ჩემ მიმართ იყოს მიმართული. როცა გესმის, რომ ვიღაცას რაღაცას უსამართლოდ ართმევენ, ყველა ბიზნესმენისთვის ეს არის სტრესი. როცა სტრესია, მაშინ ყველაფერი მთავრდება, განვითარებაზე აღარავინ ფიქრობს.

***– ახლა აღარ გაქვთ ეს სტრესი? ნაციონალები ამბობენ, რომ „ქართული ოცნება“ ბიზნესს ავიწროვებს.***

– არა, ახლა ასეთ სტრესს აღარ განვიცდით. მე საქართველოში არ მეგულება არც ერთი ბიზნესმენი, რომელსაც აუდიტის სამსახურის შესვლის ეშინია.

***– მოდით, ისევ ნაციონალების და თქვენ ურთიერთობას დავუბრუნდეთ. ამბობენ, რომ დღემდე ახლობლობთ გიგა ბოკერიასთან და პარტიის დაფინანსებასაც აგრძელებთ.***



– ეს სისულელეა. ბოკერიასთან მაშინაც კი არ ვახლობლობდი, როცა ნაციონალების მიმართ სიმპათიები მქონდა. ისე, ნაცმოძრაობაში ბევრი ახლობელი მყავს, მაგრამ მათი დამფინანსებელი არ ვარ.

***– რა ურთიერთობა გაქვთ იმ ხალხთან, ვინც ნაცმოძრაობის პარტიული სიით მოხვდა პარლამენტში?***

– მათ გამარჯობა-გაგიმარჯოს დონეზე ვიცნობ. სალამის თქმა არის ელემენტარული ზრდილობა.

***– თქვენ უკვე მეოთხედ შეხვალთ პარლამენტში და რომელ კომიტეტში აპირებთ მუშაობას, ჯანდაცვის სფეროს აირჩევთ თუ ეკონომიკას?***

– ჯანდაცვის კომიტეტს არ ავირჩევ, ალბათ უფრო დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში ვიქნები. ჯანდაცვაში არც წინა მოწვევის პარლამენტში ვყოფილვარ.

***– თქვენი პარტიის ლიდერმა, პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა, განაცხადა, რომ არჩევნებს თუ მოვიგებთ, უკვე პირველი ნოემბრიდან აგუგუნდება საქართველოო. არჩევნები მოიგეთ, ნოემბერიც დადგა და აგუგუნების შედეგები როდიდან იქნება?***

– საქართველოს მართლაც აქვს აგუგუნების შანსი. ჩვენ დღეს 3%-იანი ეკონომიკური ზრდა გვაქვს, მაშინ როცა, ჩვენს სამეზობლოში კრიზისია – აზერბაიჯანიც, რუსეთიც და თურქეთიც მინუსებში არიან. ჩვენი შედეგი ცუდი არ არის, მაგრამ არც საკმარისია. კარგი შედეგი გვექნება მაშინ, როცა ეკონომიკური ზრდა 7-8%-ს მიაღწევს. ეს ნამდვილად იქნება ქვეყნის აგუგუნება. ეს ნიშნავს, რომ ბიუჯეტში თანხა გაორმაგდება, გაორმაგდება პენსია და სოციალური დახმარებები.

***– და როდისთვის უნდა ველოდოთ აგუგუნებას?***

– იმისათვის, რომ აგუგუნებული იყოს ქვეყანა, ყოველ წელს 7%-იანი ეკონომიკური ზრდა უნდა გვქონდეს, ოღონდ სესხების გარეშე. თუ ყოველ წელს ასეთი ზრდა გვექნა, 7-8 წელიწადში ძალიან ძლიერად ვიქნებით. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს იქნება სუპერ-აგუგუნება.

***– ლარის კურსის ვარდნა აგუგუნებაში ხელს არ შეგვიშლის?***

– ეკონომიკის 7%-იანი ზრდა თუ არ დაფიქსირდა, სულ ლარის კურსზე იქნება ლაპარაკი. აქ ეკონომიკური სტაბილურობაა ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელიც საზღვარგარეთიდან უფრო მეტს ყიდულობს, ვიდრე ყიდის, დისბალანსი იფარება ტურიზმით, კრედიტებით, ინვესტიციებით და საზღვარგარეთიდან გადმორიცხული თანხებით.

აქ თუ ნაკლები ტურისტი შემოვიდა, ჩვენმა თანამოქალაქეებმა შეამცირეს ფულის გადმორიცხვა, ეგრევე ხდება დისბალანსი და ლარის კურსი ეცემა. ამიტომ უნდა განვითარდეს იმპორტის ჩანაცვლების და ექსპორტის განვითარების პროგრამა. ეს პროგრამა კარგად არის დაქოქილი.

მე სერიოზულ შედეგს ველოდები ესტონური მოდელისგან, რომელიც ახალი წლიდან ამოქმედდება. საუბარია მოგების გადასახადის ადმინისტრირებაზე. სახელმწიფო მოგების გადასახადზე უარს ამბობს, თუ რეინვესტირება ხდება. ბიზნესს უტოვებს იმ ფულს, თუ მისი განვითარება ხდება.

# ჩეჩნეთის მოქალაქე საქართველოში თავშესაფარს ითხოვს

## რას ედავება ტუმსა აბდურახმანოვი დევნილთა სამინისტროს

მარიამ მჭედლიშვილი

**ჩეჩნეთის მოქალაქე, 31 წლის ტუმსა აბდურახმანოვი, აპირებს, გაასაჩივროს საქართველოს დევნილთა სამინისტროს გადაწყვეტილება.**

**ამ უწყებამ მას უარი უთხრა თავშესაფრის მიცემაზე.**

**გროზნოს მკვიდრი ამტკიცებს, რომ უარი უსაფუძვლოა, ვინაიდან მისი თხოვნა ყველანაირად დასაბუთებული იყო და მისთვის თავშესაფარი უნდა მიეცათ.**

ჩეჩნეთიდან გამოქცეული და ძებნაში მყოფი აბდურახმანოვი ირწმუნება, რომ რეპრესირებულია და კონფლიქტი აქვს ჩეჩნეთის ლიდერის, რამზან კადიროვის მაღალჩინოსან ნათესავთან.

კადიროვის ახლობელმა იგი ვაჰაბიტად მონათლა და მას უმიზეზოდ გადაემტერა.

ისლამური სახელმწიფოს გააქტიურებამ, ახლო აღმოსავლეთში კავკასიელი ახალგაზრდების გადინებამ, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში ახალი წესები დაამკვიდრა.

უსაფრთხოების ზომებს ეწირებიან უდანაშაულო ადამიანებიც. ტრადიციული კონტრტერორისტული ოპერაციების გარდა, რომლებიც ადგილობრივი ჯიჰადისტების წინააღმდეგაც ტარდებოდა, გამკაცრდა რეჟიმი ყველასთვის.

ამ რეჟიმის პირობებში ხშირია ქუჩებში, განსაკუთრებით, მეჩეთებთან, ახალგაზრდების დაკავება, მათი პოლიციაში წაყვანა და დაკითხვა. ტერორიზმში ეჭვმიტანილებად ითვლებიან მორწმუნეები. ამ მხრივ განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს ჩეჩნეთის რესპუბლიკის ხელისუფლებმა. ჩეჩნეთში ბევრი მეჩეთი დაიხურა. ამ რესპუბლიკაში საზღვარგარეთის პასპორტები ხელწერილით გაიცემა.

ტუმსა აბდურახმანოვის ისტორიაც ხალიფატს უკავშირდება.

კადიროვის ნათესავმა მაღალჩინოსანმა იგი მანქანით გადაადგილებისას გააჩერა. შეიარაღებულმა პირებმა ის ერთ-ერთ კოტეჯში წაიყვანეს და ორჯერ სხვადასხვა დროს დაკითხვა მოუწყვეს. მისგან ცდილობდნენ გამოერკვიათ, თუ რომელ რელიგიურ მიმდინარეობას მიეკუთვნება. საბოლოოდ, მას ვაჰაბიტური სექტის ლიდერობა დააბრალეს. თან აიძულებდნენ, დაესახელებინა და მოეყვანა თანამზრახველები. რამდენჯერმე მოუწოდეს, დაეტოვებინა ჩეჩნეთი.

გროზნოელი ახალგაზრდა აცხადებს, რომ ვაჰაბიტებთან კავშირი არ აქვს, არც სირიაში ყოფილა, არც რაიმე დანაშაული ჩაუდენია.

საქართველოში იგი ერთი წლის წინ, ვლადიკავკაზის გავლით ჩამოვიდა. საქართველოს დევნილთა სამინისტროს თავშესაფრის თხოვნით 9 თვის წინ მიმართა.

ჩეჩნეთიდან წამოსვლისთანავე მის წინააღმდეგ რუსეთის შს სამინისტრომ აღძრა საქმე უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნაში მონაწილეობის მუხლით.

ეს, აბდურახმანოვის თქმით, მოგონილი ბრალდებაა.

– საქართველოში ყოფნისას რუსეთის გენპროკურატურაში დავწერე 4 წერილი, სადაც მივუთითე, რომ საქართველოში ვარ და სირიაში არასდროს ვყოფილვარ, – აღნიშნავს სტატუსის მაძიებელი.

იურისტების თქმით, მას საქართველოში თავშესაფრის მისაღებად საკმარისი საფუძველი აქვს. ამიტომ, საქართველოს დევნილთა სამინისტროს უარის გასაჩივრება შეიძლება.

1 ნოემბერს ჩეჩნეთში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა კიდევ ერთი მოქალაქის, ურუს-მარტანის მცხოვრების, სალავდი მუსაევის წინააღმდეგ.

მას ბრალად ედება სირიაში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა ისლამური სახელმწიფოს მხარეზე.

იგი სირიაში მართლაც იმყოფება 2013 წლიდან.

სულ სირიის კონფლიქტის დაწყებიდან ახლო აღმოსავლეთში მარტო ჩეჩნეთიდან 600-ზე მეტი კაცია წასული. 463-ის საქმეს იძიებენ, 341-ზე კი ძებნაა გამოცხადებული.

# თბილისის საკრებულომ 3 ახალი დეპუტატის უფლებამოსილება ცნო

დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში საკრებულოს სხდომა გაიმართა, რომელზეც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებმა საკრებულოს წევრობის კანდიდატების გულია გოცირიძის, ქეთევან მამულაშვილისა და ირაკლი ქადაგიძის უფლებამოსილების ცნობის საკითხზე იმსჯელეს.



2016 წლის 16 აგვისტოს პირადი განცხადების საფუძველზე უფლებამოსილება შეუწყდათ მაჟორიტარული სისტემით არჩეულ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს: ნინო გოგუაძეს, ირაკლი აბუსერიძესა და ბექა ნაცვლიშვილს.

ცესკოს მომართვის თანახმად, შუალედურ არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატები იკავებენ თბილისის საკრებულოს მაჟორიტარული წესით არჩეული გამოკლებული წევრების ადგილებს საკრებულოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

შესაბამისად, დეპუტატებმა კრწანისის რაიონში ქეთევან მამულაშვილის, გლდანის რაიონში გულია გოცირიძისა და ისნის რაიონში ირაკლი ქადაგიძის კანდიდატურების უფლებამოსილების მინიჭების საკითხს დაუჭირეს მხარი.

მმართველი გუნდის გარდა, საკრებულოს წევრებში ცვლილება მოხდება ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს შორისაც.

პროცედურის მიხედვით, ირაკლი აბესაძეს, რომელმაც საკანონმდებლო ორგანოში გადაინაცვლა, სიის მომდევნო ნომერი შეცვლის.

**ნიუპოსტი**

# გიორგი კახიანი: „პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე ირაკლი კობახიძის კანდიდატურა განიხილება“



– ირაკლი კობახიძის პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე დანიშვნა ჯერ არაა დადასტურებული, მაგრამ ეს თუ ასე მოხდა, მე მხოლოდ დადებითად შევაფასებ.

ამის შესახებ „კვირის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი კახიანმა განაცხადა.

– მე ვიცნობ ირაკლის არა როგორც მხოლოდ პოლიტიკოსს, მე მას ვიცნობ მის მიერ განხორციელებული აკადემიური საქმეებიდან გამომდინარე. ის არის ძალიან კვალიფიციური იურისტი და ასევე არის კარგი კონსტიტუციონალისტი. მან გერმანიაში დაიცვა დისერტაცია, ამიტომ ირაკლი კობახიძის კანდიდატურა მხოლოდ დადებით ჭრილში განიხილება, – განაცხადა კახიანმა.

**ნიუსპრესი**

# თეა წულუკიანი: „იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობაში ცვლილება არ იგეგმება“




საქართველოს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, მისთვის ცნობილია, რომ სავარაუდოდ, იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობაში ცვლილება არ იგეგმება.

ამის შესახებ წულუკიანმა მედიასთან საუბარში განაცხადა.

– კონსულტაციები მიმდინარეობს იქ, სადაც უნდა მიმდინარეობდეს – ეს არის მმართველი პარტიის პოლიტიკური საბჭო, რომელიც, როგორც იცით, შესანიშნავი გამარჯვებით შედის საკანონმდებლო ორგანოში, პარტიის ლიდერის, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით.

აქედან გამომდინარე, მე ამ კონსულტაციებში, რა თქმა უნდა, ჩართული არ ვარ. თუმცა, ჩემთვის ცნობილია, რომ, სავარაუდოდ, იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობაში ცვლილება არ იგეგმება, – აღნიშნა წულუკიანმა.

**მედიანიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სუპერმარკეტების ქსელი „ფურშეტი“, შესაძლოა, დაიხუროს

**სუპერმარკეტების ქსელი „ფურშეტი“, შესაძლოა, დაიხუროს. ამის მიზეზი სადისტრიბუციო კომპანიების მიმართ გაუსტუმრებელი ფინანსური დავალიანებაა. თუმცა, მსგავსი პრობლემა არაერთ მსხვილ სავაჭრო ქსელს აქვს.**




როგორც სავაჭრო სფეროს სპეციალისტი, სადისტრიბუციო კომპანია „გრანდის“ დამფუძნებელი ივა ჭყონია ბიზნესპრესნიუსთან საუბრისას ამბობს, „ფურშეტი“ ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და საკმაოდ კაბალურ სიტუაციაში უწევს ყოფნა, ამიტომ ისიც კი საინტერესოა, აქამდე როგორ მოაღწია.

ივა ჭყონიას თქმით, მძიმე მდგომარეობაშია „ლა ფემილიც“, რომელიც რეალურად უკვე დაიხურა და ქართულ „რითეილ კომპანიად“ გადაკეთდა. კომპანია ამ ეტაპზე ორი მაღაზიითაა წარმოდგენილი, თუმცა, დიდი ალბათობით, ეს მაღაზიებიც იგივე ბედს გაიზიარებს.

არაერთი მცდელობის მიუხედავად, ბიპიენი სუპერმარკეტების ქსელ „ფურშეტს“ ვერ დაუკავშირდა. კომპანია „ქართული რითეილის“ კომერციულმა დირექტორმა მაკა კვარაცხელიამ კი აღნიშნა, რომ „ლა ფემილის“ დახურვა არ არის მოსალოდნელი და მეტიც, ქსელი განვითარებას და ორი ახალი მაღაზიის გახსნას გეგმავს.

– დღეს გვაქვს 3 მოქმედი მაღაზია. „პრაიდ ჯგუფი“ გაკოტრდა და იქ რაიმე თაღლითურ სქემებს არ ჰქონია ადგილი. „ლა ფემილი“ კი ახალმა კომპანიამ განვადებით იყიდა ანუ კომპანიის ფინანსური ვალდებულებები თავის თავზე აიღო.

რაც შეეხება სადისტრიბუციო კომპანია „გრანდს“, ეს იყო პირველი კომპანია, რომელმაც „რითეილთან“ ხელშეკრულება გააფორმა და ვალი „რითეილს“ გადმოაკისრა, მაგრამ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ თანამშრომლობის სხვა პირობები წამოაყენა, რაც არ იყო ჩვენთვის საინტერესო და ქსელში აღარ შემომყავს, – აღნიშნა კვარაცხელიამ.

ივა ჭყონია კი სავაჭრო ქსელის თაღლითური სქემით მოქმედებაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ „პრაიდ ჯგუფისა“ და „რითეილ ჯგუფის“ დამფუძნებლებს შორის ურთიერთკავშირია. მისივე ცნობით, უახლოეს მომავალში გეგმავს, ამ სავაჭრო ქსელთან დაკავშირებით, შესაბამის ორგანოებს მიმართოს.

„ქართული რითეილის“ მფლობელის ვინაობაზე კომპანიის კომერციულმა დირექტორმა ჩვენთან არ ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამის უფლება არ აქვს.

– კომპანიების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება ძალიან მინიმალურია, ფართიც კი, სადაც ოპერირებენ, ნაქირავები აქვთ. შესაბამისად, მარტივად აცხადებენ თავს გადახდისუუნაროდ. შემდეგ კი აარსებენ ახალ კომპანიას. თუმცა, არ ხდება გამოძიება, თუ რატომ გამოცხადდა გადახდისუუნაროდ, როგორ და ვის მიერ ხდება ახალი კომპანიის დაარსება.

ზოგადად, სახელმწიფოს მხრიდან სავაჭრო ობიექტებზე მეტი ყურადღებაა საჭირო. დასახვეწია კანონმდებლობაც, რადგან ერთი მხრივ სასამართლო პროცესი იწელება დროში და მეორე მხრივ კი, თაღლითური სქემით მოქმედი კომპანიისა თუ მფლობელის დასჯის პრევენცია არ არსებობს, – აღნიშნა ჭყონიამ.

სუპერმარკეტების ქსელი „ფურშეტ ჯორჯია“, რომელიც 100-ზე მეტ მაღაზიას ფლობს უკრაინაში, 2012 წლის 21 ნოემბერს შემოვიდა საქართველოს ბაზარზე. „ლა ფემილის“ პირველი მაღაზია კი თბილისში 2015 წლის აპრილში გაიხსნა.

◆ ◆ ◆

სუპერმარკეტების ქსელი „ფურშეტი“ დისტრიბუტორებთან ფინანსურ დავალიანებას „კომერსანტთან“ ადასტურებს, თუმცა, დახურვის შესახებ ინფორმაციას უარყოფს.

რეალურად არსებობს თუ არა სავაჭრო ქსელ „ფურშეტში“ აღნიშნული პრობლემები და შესაძლოა თუ არა, უკრაინულმა სავაჭრო ქსელმა ქართული ბაზარი დატოვოს?

კომპანია „ფურშეტში“ აღნიშნული ინფორმაცია „კომერსანტისგან“ შეიტყვეს და განაცხადეს, რომ ფინანსური დავალიანებასთან დაკავშირებული პრობლემები ყველა რითეილში არსებობს.

– კომპანიებთან გარკვეული სახის დავალიანებები არსებობს, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ან გაკოტრება გვემუქრება, ან – მათთან თანამშრომლობის შეწყვეტა, ან ამის გამო ბაზრიდან გასვლა. დავალიანებები ყველას აქვს, ნებისმიერ საცალო ქსელში მომუშავე კომპანიას აქვს დავალიანება მომწოდებლებთან. მაგის გარეშე არც რითეილი არსებობს და არც – კომპანიებთან თანამშრომლობა, – აცხადებენ „ფურშეტში“.

მათივე თქმით, გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს „ფურშეტი“ შეიძლება დაიხუროს, სიმართლეს არ შეესაბამება.

# ლარის კურსი ბანკებში 2.48-ს მიუახლოვდა




ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გაუფასურდა.

დღეიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.41295 ლარი გახდება.

კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.4123 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0072 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაში გაუფასურდა.

კერძოდ, დღეიდან 1 ევროს შეძენა 2.6810 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2.6535 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0275 ლარი შეადგინა.

გუშინ, 2 ნოემბრის საღამოს მონაცემებით, კომერციულ ბანკებში დოლარის და ევროს ფასი ოფიციალური კურსისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა.

საქართველოს ბანკში 1 აშშ დოლარი 2.4750 ლარი ღირდა, 1 ევროს შეძენა კი 2.770 ლარად იყო შესაძლებელი.

თიბისი ბანკში 1 აშშ დოლარის ფასი 2.4750 ლარი იყო, 1 ევრო კი 2.7680 ლარი ღირდა.

ლიბერთი ბანკის მონაცემებით, 1 აშშ დოლარი 2.4600, ხოლო 1 ევრო 2.7580 ლარი ღირდა.

ვითიბი ბანკში 1 აშშ დოლარის შეძენა 2.4700-დ, ხოლო 1 ევროს 2.7650 ლარად იყო შესაძლებელი.

# რომან გოცირიძე: „ფინანსთა სამინისტრო ბიუჯეტის შემოსავლების სტატისტიკას აყალბებს“




– ფინანსთა სამინისტრო ბიუჯეტის შემოსავლების სტატისტიკას აყალბებს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ნაციონალური მოძრაობის წევრმა რომან გოცირიძემ განუცხადა.

მისივე თქმით, მთავრობა ამ გზით ოქტომბრის შემოსავლების გეგმის მნიშვნელოვანი ოდენობით ჩავარდნის დამალვას ცდილობს.

– ოქტომბრის შემოსავლები, ხაზინის მონაცემებით, 911,1 მილიონი ლარია, მაშინ, როცა ყოველდღიური შემოსავლების ჯამი, ხაზინისვე ინფორმაციით, 845 მილიონ ლარს შეადგენს. 66 მილიონი ლარი არის დამატებული. მთავრობა ამით ცდილობს ოქტომბრის შემოსავლების გეგმის მნიშვნელოვანი ოდენობით ჩავარდნის დამალვას, – აღნიშნა რომან გოცირიძემ.

მისი თქმით, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ოქტომბრის გაყალბებულ მაჩვენებელში შედის ფინანსთა სამინისტროს მიერ ბიუჯეტის შესახებ კანონის დარღვევით დამატებით აღებული საშინაო ვალი 91 მილიონი ლარის ოდენობით, ვნახავთ, რომ ვითარება სავალალოა.

– მთავრობას უწევს ამ ჩავარდნის გადაფარვა ნაშთებიდან მომატებული ხარჯით, რაც ლარის გაუფასურების და ფასების ზრდის ერთ-ერთი მიზეზია, – აღნიშნა ბ-მა გოცირიძემ.

# „თურქმენეთის ავიახაზებმა“ საქართველოში ფრენების განხორციელება სამომავლოდ გადადო




„თურქმენეთის ავიახაზები“ აშხაბადი-თბილისი-აშხაბადის საჰაერო ხაზზე ოპერირებას აღარ განახორციელებს.

როგორც სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში ბიზნესპრესნიუსს განუცხადეს, „თურქმენეთის ავიახაზებმა“ კომერციული მიზნებიდან გამომდინარე ზამთრის სეზონზე განრიგი უკან გაითხოვა.

– ერთი კვირის წინ გვაცნობეს, რომ აშხაბადი-თბილისი-აშხაბადის მიმართულებით რეისების შესრულებამ ცოტა ხნით გადაიწია. როგორც „თურქმენეთის ავიახაზებიდან“ გვაცნობეს, კომერციული მიზნებიდან გამომდინარე, რეისების შესრულებას ცოტა მოგვიანებით დაიწყებენ.

ზამთრის სეზონი შედარებით ნაკლებად აქტიურობით გამოირჩევა და, სავარაუდოდ, ეს არის მიზეზი, რომ კომპანიამ ფრენა შეაჩერა. გვაქვს დასტური, რომ შხაბადი-თბილისი-აშხაბადის მიმართულებით რეისები აუცილებლად შესრულდება, – განაცხადეს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში.

„თურქმენეთის ავიახაზებს“ აშხაბადი-თბილისი-აშხაბადის საჰაერო ხაზზე ოპერირება გუშინ, 2 ნოემბერს, უნდა დაეწყო. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, რეგულარული რეისები საქართველოსა და თურქმენეთის დედაქალაქებს შორის კვირაში ორი სიხშირით, ყოველ ოთხშაბათსა და კვირას, ბოინგ 737 და 757 ტიპის საჰაერო ხომალდებით უნდა განხორციელებულიყო.

ავიაკომპანიას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ ფრენების შესრულებისათვის აუცილებელი ნებართვა მინიჭებული აქვს.

ორი ქვეყნის დედაქალაქს შორის პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება საქართველოსა და თურქმენეთის საავიაციო ხელისუფლებებს შორის 2016 წლის 4 ივლისს, აშხაბადში გამართული მოლაპარაკებების შედეგად მიიღეს.

**ბიპიენი**

# ქართული სმარტ ტელევიზორები ბაზარზე მომავალი წლიდან გამოჩნდება

ქართული წარმოების ტელევიზორი, აგ, შესაძლოა, ექსპორტზე ლატვიაში გავიდეს.

ამის შესახებ ბიზნესპრესნიუსს კომპანია აგ ტელეკომის დირექტორმა მიხეილ ღლონტმა განუცხადა.

მისივე ცნობით, ქართული წარმოების ლედ ტელევიზორების საექსპერიმენტო, მცირე რაოდენობა აზერბაიჯანში ექსპორტზე უკვე გავიდა, 2017 წლიდან კი აზერბაიჯანში თვეში 600-დან 800-მდე ტელევიზორის გატანა იგეგმება.

– პირველი საცდელი პარტია, 30-30 ცალი 32 და 40 დუიმიანი ტელევიზორი, უკვე გავიტანეთ აზერბაიჯანში. ახლა კიდევ 2 ქვეყანასთან გვაქვს მოლაპარაკებები. მათ შორის ლატვიელ კოლეგებთან, რომლებიც დაინტერესებულები არიან ჩვენი პროდუქციით, როგორც ლედ (ენერგოეფექტური) ნათურებით, ისე ტელევიზორებით, – აღნიშნა ღლონტმა.

მისივე თქმით, უკვე დამზადებულია სმარტ ტელევიზორების საექსპერიმენტო რაოდენობა, რომელიც ქართულ ბაზარზე, სავარაუდოდ, ახალი წლიდან გამოჩნდება.

როგორც კომპანიის დირექტორმა აღნიშნა, ამ ტელევიზორებში ანდროიდ სისტემა ჩამონტაჟდება.

უანდროიდო ტელევიზორთან შედარებით, ისინი 15-20 ლარით უფრო ძვირი იქნება.

ქართული წარმოების ანდროიდ ტელევიზორებს, ციფრულ და საკაბელო რესივერთან ერთად, სატელიტური რესივერიც ექნება.

ქარხანაში თვეში 8-9 ათასი ტელევიზორის წარმოებაა შესაძლებელი, თუმცა დირექტორმა აღნიშნა, რომ ძირითადად შეკვეთებზე მუშაობენ და ტექნიკას მოთხოვნის შესაბამისად ამზადებენ.

მიხეილ ღლონტის ცნობით, კომპანია უფრო დიდი ზომის, კერძოდ 48 დუიმიანი ტელევიზორის გამოშვებაზეც მუშაობს.

ქართული ტელევიზორების მწარმოებელი ქარხანა, აგ მიკროელექტრონიქსი, პირველი მიკროელექტრონული საწარმოა ამიერკავკასიის რეგიონში, რომლის დამფუძნებელია კომპანია აგ ტელეკომი.

საწარმო ქართველი და აზერბაიჯანელი ბიზნესმენების მიერ განხორციელებული სამმილიონიანი ინვესტიციების შედეგად აშენდა. მის მიერ წარმოებული ლედ ტელევიზორების რეალიზაცია მიმდინარე წლის მაისიდან დაიწყო.

**თაია არდოტელი, ბიპიენი**

# თბილისში ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „ჰილტონ თბილისი“ გაიხსნება



თბილისში 2019 წელს ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „ჰილტონ თბილისი“ გაიხსნება.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, იგი ყოფილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობაში განთავსდება.

200-ნომრიან სასტუმროში 20 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდება.

შესაბამისი კონტრაქტი კორპორაცია „ჰილტონსა“ და კომპანია „გრანატს“ შორის გუშინ, 2 ნოემბერს, გაფორმდა. კონტრაქტს ხელი მოაწერეს კორპორაცია ჰილტონ უორლდვაიდის ვიცე-პრეზიდენტმა მაიკლ კოლინიმ და კომპანია გრანატ ჯორჯიას პრეზიდენტმა ელგუჯა ცინცაძემ.

ხელმოწერის ცერემონიას პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი დაესწრო.

– 2019 წელს თბილისში გაიხსნება ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „ჰილტონის“ ბრენდით, სადაც „მიშლენის“ რესტორანი განთავსება. ეს არის სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის ურთიერთობის კიდევ ერთი კარგი მაგალითი. თბილისი და თბილისელები დიდი ხანია ელოდებიან ქალაქის ცენტრში მდებარე ამ ლამაზ შენობაში მნიშვნელოვანი ობიექტის გახსნას, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

მისი ინფორმაციით, უშუალოდ სასტუმროს მშენებლობის პროცესში რამდენიმე ასეული, სასტუმროს ამოქმედების შემდეგ კი 200-ზე მეტი ადამიანი დასაქმდება.

2015 წელს კომპანია „გრანატსა“ და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, კომპანიამ აიღო ვალდებულება თბილისში კოსტავას ქუჩაზე მდებარე ყოფილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობაში გაეხსნა საერთაშორისო ბრენდის 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო.

**ბიპიენი**

# პროკურატურამ სულხან მოლაშვილის ოჯახს წავკისის აგარაკი დაუბრუნა

სულხან მოლაშვილის ოჯახს 2004 წელს სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემული ქონება დაუბრუნდა.

საუბარია წავკისში მდებარე ერთ-ერთ აგარაკზე, რომელიც, მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, სულხან მოლაშვილის ოჯახს, კონტროლის პალატის ყოფილი ხელმძღვანელის გათავისუფლების სანაცვლოდ 140.000 ლარად აყიდინეს და სახელმწიფოსთვის გადააცემინეს.

პროკურატურაში სულხან მოლაშვილის ოჯახის წევრები იმყოფებოდნენ, რომლებსაც ქონების დაბრუნების შესახებ ინფორმაცია პროკურორმა ემზარ გაგნიძემ მიაწოდა.



* * *

როგორც პროკურატურაში აცხადებენ, 2004 წლის ივლისში სულხან მოლაშვილის ძმას, თორნიკე მოლაშვილს დაუკავშირდნენ მაშინდელი პროკურატურიდან და სულხან მოლაშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის არასაპატიმრო ღონისძიების შეცვლის სანაცვლოდ მოსთხოვეს თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე ერთ-ერთი აგარაკის შეძენა და შემდგომში სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემა.

მოლაშვილის ოჯახის წევრები ამ პირობას დათანხმდნენ და ბანკიდან აიღეს სესხი, რის შემდეგაც 2004 წლის 14 ივლისს სოფელ წავკისში მდებარე აგარაკი 140.000 ლარად შეიძინეს და იმავე დღეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცეს.

მოლაშვილის ოჯახის წევრების მხრიდან მოთხოვნის შესრულების მიუხედავად, კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს, რომელსაც მაშინდელი გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ედავებოდა, აღკვეთის ღონისძიება არ შეუცვალეს და საპატიმრო დაწესებულებიდან არ გაათავისუფლეს.

– რაც შეეხებათ ქონების უკანონოდ ჩამორთმევაში მხილებულ ყოფილ საჯარო მოხელეებს, გამოძიებასთან თანამშრომლობის ხარისხის გათვალისწინებით, პროკურატურა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით მათ მიმართ არ დაიწყებს სისხლის სამართლებრივ დევნას, – აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

* * *

– ეს ქონება ჩემთვის არაფერი არაა იმის მერე, რაც სულხანს დამართეს.

ამის შესახებ სულხან მოლაშვილის მეუღლემ თათია მოლაშვილმა ჟურნალისტებს მოლაშვილის ოჯახისთვის უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შემდეგ განუცხადა.

როგორც თათია მოლაშვილმა აღნიშნა, მისი ოჯახი ქონების დაბრუნებას 13 წელი ელოდა, თუმცა სამართლის ზეიმს თავად სულხან მოლაშვილი ვერ მოესწრო.

– შევისყიდე წავკისის აგარაკი სულხანის დაჭერის შემდეგ და ვაჩუქე სახელმწიფოს. 13-წლიანი მოლოდინის შემდეგ დაგვიბრუნდა ეს ქონება, მაგრამ, რაც მთავარია, ამას სულხანი ვერ მოესწრო. ქონების დაბრუნება მხოლოდ ერთი ეტაპია და ჩვენს საქმეზე გამოძიება გრძელდება, – განაცხადა თათია მოლაშვილმა.

კითხვაზე, არის თუ არა სხვა ქონება, რომელიც სახელმწიფომ მოლაშვილების ოჯახს კიდევ ჩამოართვა, სულხან მოლაშვილის მეუღლემ აღნიშნა, რომ მათთვის სახელმწიფოს სხვა რაიმე ქონება არ ჩამოურთმევია.

– მეტი რაღა უნდა წაეღოთ, სიცოცხლე წაართვეს ადამიანს. ეს ქონება ჩემთვის არაფერი არაა იმის მერე, რაც სულხანს დამართეს, – განაცხადა თათია მოლაშვილმა.

სულხან მოლაშვილის მეუღლე სახელმწიფოს და პროკურატურას გაწეული სამუშაოსთვის მადლობას უხდის.

* * *

– სულხან მოლაშვილის საქმეზე გამოძიებას კონკრეტული დამნაშავეები ჯერ გამოვლენილი არ ჰყავს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს პროკურორმა ემზარ გაგნიძემ განუცხადა.

როგორც პროკურორმა აღნიშნა, სულხან მოლაშვილის საქმეზე დამნაშავეების გამოსავლენად არაერთი საგამოძიებო მოქმედება ტარდება.

– გამოძიებას დადგენილი აქვს, რომ სულხან მოლაშვილისთვის ქონების ჩამორთმევა იყო დანაშაულებრივი ქმედება. გამოძიება აქტიურ ფაზაშია გადასული, ტარდება არაერთი საგამოძიებო მოქმედებები დამნაშავეების გამოვლენის კუთხით და მას შემდეგ, რაც გვექნება შესაბამისი მტკიცებულებათა ერთობლიობა, მოხდება კონკრეტული პირების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება, – განაცხადა პროკურორმა.

# მამამ 11 წლის შვილს სასტიკად სცემა და სავარცხელი ფეხის გულებში ურტყა

## შემზარავი ფაქტი ბათუმში



ახალგაზრდა ქალი ყოფილ მეუღლეს 11 წლის შვილის სასტიკად ცემაში ადანაშაულებს.

როგორც მოზარდის დედა ირწმუნება, შემთხვევა ბათუმში, 18 ოქტომბერს, საღამოს საათებში მოხდა.

ქალი ჟურნალისტებთან ჰყვება, რომ ბრალდებული ბავშვებზე და მასზე წლების განმავლობაში ძალადობდა.

მისი თქმით, არასრულწლოვანის ცემას მისი 10 წლის ქალიშვილიც შეესწრო. დედის თქმით, ბავშვს მამამ სკოლის გაცდენის მოტივით სცემა.

დედის თქმით, მან 11 და 10 წლის შვილები მამასთან ერთი საათით დატოვა. ქალი ამტკიცებს, რომ სამართალდამცავებს მომხდარზე რეაგირება იქამდე არ ჰქონიათ, სანამ საქმეში ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი არ ჩაერთო.

მამა შემთხვევიდან 11 დღის შემდეგ დააკავეს, თუმცა წინა კვირას ბათუმის სასამართლომ 5.000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

– ბავშვები ერთი საათით დავტოვე მამამისთან, მალევე დამირეკა ბავშვმა და მითხრა, წამეყვანა. სახლში მისვლისას შევნიშნე, რომ სასტიკად ნაცემი იყო, ზურგის არეში სისხლჩაქცევები აღენიშნებოდა. ხელით სცემა და სავარცხელი ფეხის გულებში ურტყა.

ბავშვებს ხშირად სჯიდა, თუმცა მსგავსი ფაქტი, ასე ეცემა, პირველად მოხდა. ჩემი ყოფილი ქმარი პირადად მეც ძალიან ხშირად მაყენებდა შეურაცხყოფას, მე და ჩემს შვილებს სახლიდანაც ხშირად გვაგდებდა. დანაც აქვს ჩემთვის დარტყმული, ხელითაც მეხებოდა, – აღნიშნა დაშავებულის დედამ.

მისი თქმით, ქმრის სახლიდან წელიწადნახევრის წინ წამოვიდა, თუმცა სავარაუდო მოძალადესთან ოფიციალურ ქორწინებაში დღემდე იმყოფება.

ხათუნას განცხადებით, 2012 წელს მეუღლემ ცივი იარაღით დაჭრა, რის გამოც მოძალადე პატიმრობაშიც იმყოფებოდა.

მისი თქმით, ოჯახში მომხდარ სხვა შემთხვევებზე საპატრულო პოლიციას ხშირად მიმართავდა, თუმცა სამართალდამცავები მხოლოდ შემაკავებელი ოქმის გამოწერით შემოიფარგლებოდნენ.

11 წლის ნაცემი ბავშვის მამა ჟურნალისტებთან საუბრისას შვილის ცემას უარყოფს, თუმცა გაბრაზებას არ მალავს:

– ბავშვებს მე ვუხდი სკოლისა და მეცადინეობის ფულს. ინგლისურის მომზადებაში 160 დოლარს ვიხდი, დედამისს კი სკოლაში არ დაჰყავს. 12 დღე არ უვლია, მასწავლებლები მეუბნებიან, რომ გარიცხვის კანდიდატია. ბავშვი მე არ მიცემია, – აღნიშნა სავარაუდო მოძალადემ.

---

დედის ინტერესს ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის წევრი, ფონდი „იალქანი“ იცავს.

იურისტი თიკო აბაშიძე აცხადებს, რომ ყველა კანონიერ საშუალებას გამოიყენებს მოძალადისგან ნებისმიერი სქესის, ეროვნების, რელიგიური აღმსარებლობისა და ასაკის ადამიანის დასაცავად.

მისი თქმით, მოძალადეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ მათი ქმედება დაუსჯელი არ დარჩება.

აბაშიძის ინფორმაციით, ოჯახი საფრთხეშია, რადგან მამაკაცი მათ ამ დრომდე ემუქრება.

– პოლიციისგან ისმის არასასიამოვნო მესიჯები: როცა ერთი საათის დაკავებულ მოძალადეზე პოლიცია გეუბნება, რომ სამ დღეში თავისუფალი იქნება, ეს მსხვერპლის დაცულობა არ არის, – აცხადებს აბაშიძე.

საქმეში ჩაერთო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც.

11 წლის შვილის ცემის საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ოჯახში ძალადობას გულისხმობს.

მღებრიშვილის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, აღნიშნული პირი პასუხისგებაში ერთხელ იყო მიცემული.

– 2012 წელს იყო პასუხისგებაში მიცემული მეუღლის ცემის გამო. 2016 წლის მაისში კი გამოწერილი იყო შემაკავებელი ორდერი. ბოლო ფაქტზე, როცა ბავშვი იყო ნაცემი, პოლიციამ მამა დააკავა და 126-ე მუხლით დაიწყო გამოძიება, რომელიც ოჯახში ძალადობას გულისხმობს, თუმცა, სასამართლომ 5 ათას ლარიანი გირაოთი გამოუშვა. პოლიციას ყველა შეტყობინებაზე ჰქონდა რეაგირება, – აცხადებენ შს სამინისტროს პრესსამსახურში.

# საკონსტიტუციო სასამართლო: რუსთავი 2-ის და კაბელების საქმეების განხილვა თავიდან დაიწყება?

## ზაზა თავაძის მოადგილედ ლალი ფაფიაშვილი დაინიშნა



გახმაურებული საქმეების, მათ შორის „რუსთავი 2“-ის და კაბელების საქმეების განხილვა შესაძლოა თავიდან დაიწყოს.

საქმე ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს ახალ მოსამართლეებს, რომლებსაც აღნიშნული საქმეები გასაცნობად გადაეცათ.

როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ ზაზა თავაძემ განაცხადა, სწორედ ახალი მოსამართლეების გადასაწყვეტია, საქმეები თავიდან განიხილება თუ მოხდება მათი გაგრძელება იმ ეტაპიდან, რა ეტაპზეც ახლა არის.

– თუ სამი ახლად შემომატებული მოსამართლე გადაწყვეტს, რომ საქმეები ხელახლა დაბრუნდეს განხილვაში, თავიდან დაიწყება განხილვა. თუნდაც ერთმა მათგანმა რომ თქვას, რომ საქმეზე უნდა დაიწყოს ხელახალი განხილვა, ასე უნდა მოვიქცეთ. იგივეს ძველი მოსამართლე ვერც მე და ვერც სხვა ვერ მოითხოვს, – აღნიშნა ზაზა თავაძემ.

გუშინ, 2 ნოემბერს, საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიები დაკომპლექტდა და მოსამართლეები საქმეების განხილვას მომავალი კვირიდან შეუდგებიან.

– საკონსტიტუციო სასამართლოს უკვე აქვს შესაძლებლობა, განიხილოს საქმეები, – განაცხადა საკონსტიტუციო სასამართლოს ახლად არჩეულმა მდივანმა მერაბ ტურავამ.

მან არ დააკონკრეტა, თუ რამდენმა მოსამართლემ დაუჭირა მხარი მის კანდიდატურას და აღნიშნა, რომ ეს საკითხი თათბირის საიდუმლოებაა.

მერაბ ტურავამ აღნიშნა, რომ მაღალი ინტერესის მქონე საქმეები უკვე გადაეცა პრეზიდენტის მიერ განმწესებულ ახალ მოსამართლეებს გასაცნობად, თუმცა ჯერ არ არის დადგენილი განხილვის დრო და გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი.

– პირველ კოლეგიაში დღეისთვის ოთხი მოსამართლეა წარმოდგენილი, მეორე კოლეგიაში კი სამი. ველოდებით, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს პარლამენტი წარადგენს კიდევ ერთ წევრს ჩვენთან, მაგრამ მანამდე, კოლეგია უფლებამოსილია იმუშაოს, თუ სხდომას ესწრება სამი მოსამართლე. ახალ მოსამართლეებს, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტმა განამწესა, გადაცემული აქვთ სარჩელები, მაგრამ ჯერ არ არის დადგენილი კონკრეტული დღე, განხილვის ან გადაწყვეტილების გამოტანის, – აღნიშნა მერაბ ტურავამ.

* * *

გუშინ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძემ პლენუმს კოლეგიის თავმჯდომარეებისა და სასამართლოს მდივნის კანდიდატურები წარუდგინა.

ფარულ კენჭისყრაზე პირველი კოლეგიის თავმჯდომარედ და, ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ ლალი ფაფიაშვილი დაინიშნა, მეორე კოლეგიის თავმჯდომარე და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე თეიმურაზ ტუღუში გახდა, ხოლო სასამართლოს მდივნად მერაბ ტურავა დაინიშნა.

# ზაზა თავაძე: „თვითმფრინავში ნასვამი არ ვყოფილვარ“

## „მე რომ ალკოჰოლი მიმეღო, სპაზმი არ დამემართებოდა“

– ალკოჰოლის მომხმარებელი, როგორც ასეთი, ვარ ზომიერად და ვინც მე მიცნობს, ეს ძალიან კარგად იცის.

ამის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ ზაზა თავაძემ ჟურნალისტებს რამდენიმე დღის წინ, თვითმფრინავში მომხდარ ინციდენტზე კომენტირებისას განუცხადა.

როგორც ზაზა თავაძემ განმარტა, ის თვითმფრინავში ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ არ ასულა და, შესაბამისად, მისი შეუძლოდ გახდომა აღნიშნულს არ უკავშირდება.

ზაზა თავაძის თქმით, მას სპაზმი ჰქონდა, თუმცა არ განმარტა, კონკრეტულად რაში მდგომარეობდა პრობლემა.

– რაც შეეხება იმას, რომ დილის 5 საათზე ალკოჰოლი მივიღე და ისე მოხდა ჩემი თვითმფრინავში ასვლა – სისულელეა, ამაზე სერიოზულ კომენტარს ვერ გავაკეთებ. ერთ-ერთმა სააგენტომ მოითხოვა ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით და ცნობა არის წარმოდგენილი იმ კლინიკიდან, სადაც, ჩემი ნების საწინააღმდეგოდ, ამოვყავი თავი. მე რომ ალკოჰოლი მიმეღო და ისე ავსულიყავი თვითმფრინავში, როგორც ექიმები მეუბნებიან, ის სპაზმი, რაც დამემართა, არ დამემართებოდა, – აღნიშნა ზაზა თავაძემ.




საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის რანგში უცხო ქვეყანაში პირველი ვიზიტის დროს, ზაზა თავაძე თვითმფრინავში შეუძლოდ გახდა, რის გამოც თვითმფრინავმა მარშრუტი შეცვალა და სხვა ქვეყანაში დაჯდა, რის შემდეგაც ზაზა თავაძის სასწრაფო ჰოსპიტალიზაცია განხორციელდა.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ტრამპი — კლინტონი: სხვაობა შემცირდა



ჩვენ უკვე ვწერდით, რომ გფბ-ს მიერ ჰილარი კლინტონის წინააღმდეგ დაწყებულმა ხელახალმა გამოძიებამ საპრეზიდენტო არჩევნების წინ ძალთა განლაგება შეცვალა..

„ვაშინგტონ პოსტის“ გამოკითხვით, ჰილარი კლინტონის რეიტინგი ვარდნას განაგრძობს. ახლა ჰილარის მხარს 46% უჭერს, ტრამპს – 44%. თავად ტრამპის მომხრეები ამტკიცებენ, რომ მათი კანდიდატის რეიტინგი 47%-ია, ჰილარი კლინტონისა კი – 46%.

ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია: ის უზარმაზარი უპირატესობა, რაც ჰილარი კლინტონს თუნდაც ერთი კვირის წინ ჰქონდა, აღარ არსებობს.

ოქტომბერი ჰილარი კლინტონისთვის უსიამოვნო სიურპრიზების თვე გამოდგა. ტრამპმა კი პირიქით, სკანდალები მშვიდად გადაიტანა და ქულებიც მოიპოვა. მისი სატელეფონო საუბრების გამომზეურებამ, სადაც ის თავისი სექსუალობით ამაყობს, გაცილებით ნაკლები ეფექტი იქონია, ვიდრე ჰილარი კლინტონის წინააღმდეგ გფბ-ს გამოძიების განახლებამ. სავარაუდოდ, გამოძიება ვერაფერს სენსაციურს ვერ დაადგენს, ამიტომაც კლინტონის შტაბის წევრები გფბ-ს დირექტორის მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამენ.

– ამგვარი გამოძიებები კონფიდენციალურად მიმდინარეობს. კომის ეს მხოლოდ მაშინ უნდა გაესაჯაროებინა, თუკი მართლაც რაიმეს აღმოაჩენდა, – აცხადებენ ისინი.

ამის შემდეგ გფბ-მ ახალი დოკუმენტები გამოაქვეყნა. ისინი ჰილარი კლინტონის ქმარს, ბილ კლინტონს შეეხება. პრეზიდენტად ყოფნისას მან შეიწყალა ბიზნესმენი რიჩი, რომელსაც ბრალს ირანთან უკანონო გარიგებებსა და გადასახადებისგან თავის არიდებაში სდებდნენ. ზოგიერთები ამტკიცებდნენ, რომ რიჩის ქალიშვილმა კლინტონების ოჯახს ასობით ათასი დოლარი გადაუხადა, თუმცა ამისი დამტკიცება ვერ მოხერხდა. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეს იძიებდა გფბ-ს ამჟამინდელი შეფი კომი, რომელიც იმხანად პროკურორი იყო.

დოკუმენტების გამოქვეყნებით კომიმ ჰილარის ახალი დარტყმა მიაყენა. ჰილარი ფავორიტი უკვე აღარაა. რიგ მნიშვნელოვან შტატებში (ფლორიდა, პენსილვანია და ა.შ.) მისი რეიტინგი ტრამპისას გაუტოლდა.

ვინ გახდება თეთრი სახლის ახალი პატრონი? თუკი სულ რაღაც ერთი კვირის წინ ამ კითხვაზე პასუხი ყველას ჰქონდა, ახლა ასე აღარაა. ბრძოლაც მძაფრი და დაძაბული იქნება. ცნობილი ამერიკელი ანალიტიკოსი სილვერი თვლის, რომ ჰილარი კლინტონს მაინც გამარჯვების უფრო მეტი შანსი აქვს, ვიდრე მის მოწინააღმდეგეს.

– მისის კლინტონის შანსებს მე 70%-ით შევაფასებდი. 30%-ია შანსი იმისა, რომ ტრამპი გაიმარჯვებს, – ამბობს სილვერი.

## ერაყის პრემიერი: „თურქეთს მტრად განვიხილავთ“



ერაყის პრემიერ-მინისტრ ჰეიდარ ალ-აბადის განცხადებით, ერაყი თურქეთს მტრად განიხილავს.

შესაბამისი განცხადება მან ტელევიზიით მას შემდეგ გააკეთა, რაც ცნობილი გახდა, რომ თურქეთმა ერაყის საზღვრების სიახლოვეს სამხედრო ტექნიკის კონცენტრაცია დაიწყო.

– ჩვენ არ გვსურს ომი და არ გვსურს კონფრონტაცია. თუმცა, შეტაკებების შემთხვევაში, მომზადებულები ვართ. ანკარას მტრად განვიხილავთ და მის მიმართ შესაბამისად ვიმოქმედებთ, – განაცხადა ერაყის პრემიერ-მინისტრმა.

მანამდე თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ არ გამორიცხა, რომ თურქეთისთვის საფრთხის შემთხვევაში, ანკარა ტერორისტების წინააღმდეგ სახმელეთო ოპერაციას ერაყის ტერიტორიაზე ჩაატარებს.

## რუსეთის ქალაქ ეკატერინბურგში შიდსის ვირუსის ეპიდემია გამოცხადდა



რუსეთის ქალაქ ეკატერინბურგში ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის ეპიდემია გამოცხადდა.

ოფიციალური ინფორმაციით, ქალაქის ყოველი 50-ე მცხოვრებელი აივ ინფექციის მატარებელია.

საქალაქო ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ ეკატერინბურგში დაფიქსირებულია დაინფიცირების 26.693 შემთხვევა, დაავადებულთა შორის 342 ბავშვია.

დაინფიცირების შემთხვევების 52% ნარკოტიკული, 46% კი სქესობრივი გზით მოხდა.

ეკატერინბურგის საქალაქო ადმინისტრაციის ჯანდაცვის სამმართველოს წარმომადგენლის, ტატიანა სავინოვას, განცხადებით, თუ უახლოესი 5 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ზომები არ გატარდება, ეკატერინბურგში უკიდურესად სავალალო სიტუაცია შეიქმნება.

## ერაყის არმია მოსულში შევიდა



ერაყის არმიის სპეციალური ნაწილები მოსულში შევიდნენ. ახლა ბრძოლები ქალაქის ქუჩებში მიმდინარეობს.

საბრძოლო მოქმედებების შედეგად უამრავი ისლამისტის ლიკვიდირება მოხერხდა. ტელეკომპანია „ალ-ჯაზირა“-ს ცნობით, საუბარია დაახლოებით 100 მებრძოლზე

ერაყის არმიამ მოსულთან მდებარე 11 დასახლებული პუნქტი გაათავისუფლა და ქალაქის აღმოსავლეთ რაიონზე, კოკჯალიზე, დაამყარა კონტროლი.

ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებმა რამდენიმე მოქალაქე მძევლად აიყვანეს და აპირებენ, ისინი ცოცხალ ფარად გამოიყენონ.

– მივმართავ ერაყის ხელმძღვანელობას, აღნიშნული ფაქტი გაითვალისწინოს და უდანაშაულო ხალხის სისხლის დაღვრა თავიდან აიცილოს, – აცხადებს გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი.

ერაყის შეიარაღებული ძალები მოსულში 2014 წლის შემდეგ პირველად შევიდნენ. ამჟამად ქალაქს დაჯგუფება ისლამური სახელმწიფო აკონტროლებს, რომელიც არმიას მნიშვნელოვან წინააღმდეგობას უწევს.

## ალმა-ათელ მსროლელს სიკვდილი მიუსაჯეს



ალმა-ათის სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა რუსლან კულენბაევს, რომელმაც ამა წლის ზაფხულში ალმა-ათის ცენტრში სროლა ატეხა.

ამ დროს ათი ადამიანი, მათ შორის ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებიც, დაშავდა.

– ეს იყო ტერაქტი. კულენბაევი ტერორისტული ორგანიზაციის დავალებით მოქმედებდა, – განაცხადა ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა.

ყაზახეთის ლიდერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ტერორისტების მიმართ მუდამ სასტიკი და შეურიგებელი იქნება.

– ყაზახეთი ტერორისტების სათარეშო ქვეყნად არასოდეს გადაიქცევა, – განაცხადა მან.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ქერი: „რუსების კიბერშეტევები პასუხგაუცემელი არ დარჩება“



აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ განაცხადა, რომ რუსების კიბერ–შეტევები პასუხგაუცემელი არ დარჩება.

ქერიმ ოფიციალურად დაადასტურა ინფორმაცია, რომ აშშ-ს სახელმწიფო ინსტიტუტებზე კიბერშეტევა რუსმა ჰაკერებმა განახორციელეს.

– იმას, თუ როდის გაეცემა ამას საკადრისი პასუხი, პრეზიდენტი გადაწყვეტს, – თქვა ქერიმ.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ასევე აღნიშნა, რომ კიბერომი მოსალოდნელი არ არის.

– ყოველივე ლამაზად და კარგად გამოვა, – ამბობს ქერი.

ამასობაში ბრიტანეთის კონტრდაზვერვის შეფმა ენდრიუ პარკერმა განაცხადა, რომ რუსეთი დასავლეთისთვის ნომერ პირველ საფრთხეს წარმოადგენს.

– ამის დამადასტურებელია რუსეთის პოლიტიკა სირიასა და უკრაინაში, – აცხადებს პარკერი.

ინგლისის კონტრდაზვერვის შეფმა დასავლეთს მოუწოდა, კარს მომდგარი საფრთხის წინაშე გაერთიანდეს და რუსეთის აგრესიის გასანეიტრალებლად კონსოლიდირებულად იმოქმედოს. ამან კრემლის აღშფოთება გამოიწვია.

– როგორც ჩანს, ბატონ პარკერს სურს, რომ მისი უწყების დაფინანსება გაიზარდოს, ამიტომ მითიურ რუსულ საფრთხეს იგონებს, – თქვა პუტინის პრეს– მდივანმა პესკოვმა.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „ქელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 250 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

● ქრონიკული ალკოჰოლიზმისგან განკურნება, „პახმელია“, „ზაპოი“, აგრესიულობა, ალკოჰოლდამოკიდებულების მოხსნა (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში), სიგარეტის მწეველობისგან განთავისუფლება ფილტვების გაწმენდით, ნერვული სტატუსის მოწესრიგებით, ნიკოტინდამოკიდებულების მოხსნა მცენარეული, გარანტირებულად უსაფრთხო პროდუქტით. ტელ: 599-45-88-66; 555–45-13-45. საიტი: carabadini.com

# ჩემპიონთა ლიგაზე 4 მერვედფინალისტი ცნობილია

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი თავდაღმართისკენ დაეშვა. გაიმართა მე-4 ტურის მატჩები და ოთხმა კლუბმა უკვე გაინაღდა მერვედფინალის საგზური – ატლეტიკომ, ბაიერნმა, არსენალმა და პარი სენ-ჟერმენმა.

თუმცა, მივყვეთ ჯგუფების მიხედვით...







### ა ჯგუფი

**ლუდოგორეცი-არსენალი 2:3**

1:0 კაფუ (17), 2:0 კეშერუ (15), 2:1 ჯაკა (20), 2:2 ჟირუ (42), 2:3 იოზილი (88)

**ლუდოგორეცი:** ბორიანი, მინევი, პალომინო, მოცი, ნათანიელი, ანისეტი, დიაკოვი, კაფუ, მარსელინიო, ვანდერსონი, კეშერუ (მისიჯანი 80)

**არსენალი:** ოსპინა, ჯენკინსონი, მუსტაფი, კოშელნი, გიბსი, გ.ჯაკა (ელნენი 87), კოკლენი, რემზი (ოქსლეიდ-ჩემბერლენი 75), იოზილი, სანჩესი (აივობი 90), ჟირუ

არსენ ვენგერის გუნდი მე-15 წუთისთვის 0:2 ჩამორჩა ლუდოგორეცთან და ეს, ცოტა არ იყოს, მოულოდნელიც იყო, მაგრამ შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

შესვენებაზე გუნდები უკვე თანაბრად გავიდნენ – კაფუსა და კეშერუს გოლები გრანიტ ჯაკამ და ოლივიე ჟირუმ გაქვითეს.

ვენგერის გუნდმა 3 ქულა, რომელიც შემდეგში გამსვლელი აღმოჩნდა, სულ ბოლოს მოიპოვა – 88-ე წუთზე არსენალს მესუთ იოზილმა მოაგებინა.

**ბაზელი-პსჟ 1:2**

0:1 მატუიდი (43), 1:1 ზუფი (76), 1:2 მიონიე (90)

**ბაზელი:** ვაცლიკი, გაბერი (სპორარი 69), სუხი, ბალანტა, ტრაორე, ს.ჯაკა, ბიარნასონი, დიე, დელგადო (ზუფი 59), სტეფენი, დუმბია (იანკო 59)

**პსჟ:** არეოლა, მიონი, ტიაგო სილვა (კრიხოვიაკი 46), მარკინიოსი, კურზავა, მოტა, ვერატი, მატუიდი (რაბიო 77), ლუკასი (ხესე 83), დი მარია, კავანი

**გაძევება:** დიე (84)

ამავე ჯგუფიდან მერვედფინალში არსენალს პსჟ-ც შეუერთდა, რომელიც სტუმრად ბლეზ მატუიდიმ 43-ე წუთზე დააწინაურა. 76-ე წუთზე ლუკა ზუფიმ გაათანაბრა. თუმცა, ბოლოს ათი კაცით დარჩენილ ბაზელს მცველმა თომას მონიემ გაუტანა – 1:2.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 4 | 3 | 1 | 0 | 12-3 | 10 |
| 2.პსჟ | 4 | 3 | 1 | 0 | 9-3 | 10 |
| 3.ბაზელი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-8 | 1 |
| 4.ლუდოგორეცი | 4 | 0 | 1 | 3 | 4-13 | 1 |

**მომდევნო ტური**

**23 ნოემბერი:** არსენალი-პსჟ; ლუდოგორეცი-ბაზელი.

### ბ ჯგუფი

**ბეშიქთაში-ნაპოლი 1:1**

1:0 კუარეშმა (79პ), 1:1 ჰამშიკი (82)

**ბეშიქთაში:** ფაბრი, ბეკი, მარსელო, როდოლფო, ტოშიჩი (ტოსუნი 24), ჰატჩინსონი, ინლერი (იოზიაკუპი 66), კუარეშმა, არსლანი, ადრიანო, აბუბაქარი

**ნაპოლი:** რეინა, ჰისაი, მაქსიმოვიჩი, კულიბალი, გულამი, ალანი (ზილინსკი 81), ჟორჟინიო (დიავარა 79), ჰამშიკი, ინსინიე, კალეხონი, გაბიადინი (მერტენსი 63)

ბეშიქთაში ჯგუფის ერთადერთი გუნდია, რომელსაც წაგება არ აქვს, მაგრამ მაინც მე-3 ადგილზეა. არადა, სტამბოლელებს გალიდერებაც შეეძლოთ, მაგრამ...

თურქებმა კარგა ხანი გაუძლეს ნეაპოლიტანელთა შეტევებს, შემდეგ 5-წუთიანი შტურმი თავად მოაწყვეს და ხელით თამაშისთვის ნაპოლის კარში პენალტიც დაინიშნა, რომელიც რიკარდო კვარეშმამ უნაკლოდ შეასრულა.

თუმცა, იტალიელთა პასუხი მყისიერი იყო – მარეკ ჰამშიკმა შორეული, ბრწყინვალე დარტყმით გაათანაბრა.

**ბენფიკა-დინამო 1:0**

1:0 სალვიო (45პ)

69-ე წუთზე მორაეშმა ვერ გაიტანა პენალტი

**ბენფიკა:** ედერსონი, სემედო, ლუზაო, ნილსონ-ლინდელოფი, გრიმალდო, პიცი, ფეისა (სამარისი 59), სერვი, სალვიო გედესი (ალმეიდა 57), მიტროღლუ (ხიმენესი 70)

**დინამო:** რუდკო, მოროზიუკი, ხაჩერიდი, ვიდა, მაკარენკო, რიბალკა, ციგანკოვი (ბიესიედინი 61), სიდორჩუკი (ორიჰოვსკი 76), ბუიალსკი (გრომოვი 87), გონსალესი, მორაეში

კიეველთა ბოლო შანსი იყო ლისაბონში გამარჯვება, მაგრამ უკრაინულ გუნდს არც ამ ტურში ეწერა 3 ქულის აღება.

ბენფიკა ტაიმის მიწურულს დაწინაურდა, როდესაც ედუარდო სალვიომ პენალტი გაიტანა.

მეორე ტაიმში კიეველებს გათანაბრების შესანიშნავი შანსი ასევე პენალტით ჰქონდა, მაგრამ მორაეშმა ვერ გაიტანა და უკრაინული გუნდისთვის მიზერული, თითქმის არარეალური შანსები დარჩა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 4 | 2 | 1 | 1 | 9-7 | 7 |
| 2.ბენფიკა | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 3.ბეშიქთაში | 4 | 1 | 3 | 0 | 6-5 | 6 |
| 4.დინამო (კ) | 4 | 0 | 1 | 3 | 2-6 | 1 |

**მომდევნო ტური**

**23 ნოემბერი:** ბეშიქთაში-ბენფიკა; ნაპოლი-დინამო.

### ც ჯგუფი

**გლადბახი-სელტიკი 1:1**

1:0 სტრინდი (32), 1:1 დემბელე (76პ)

**გლადბახი:** ზომერი, კორბი, შტრობლი (იანტჩკე 77), ვესტერგაარდი, ელვედი, ჯონსონი, კრამერი, შტინდლი (რაფაელი 81), ვენდტი, აზარი (ჰერმანი 69), ჰანი

**სელტიკი:** გორდონი, გამბოა (ჰენდერსონი 85), ლუსტიგი, სვიატჩენკო, ისაგირე, არმსტრონგი, ბრაუნი, ფორესტი (რობერტსი 60), სინკლერი, როგიჩი (მაკგრეგორი 69), დემბელე

**გაძევება:** კორბი (75)

გლადბახმა ჯგუფიდან გასასვლელ ბრძოლაში მშვენიერი შანსი გაანიავა. გერმანელები ლარს შტინდლმა დააწინაურა, მაგრამ 75-ე წუთზე მათ კარში პენალტი დაინიშნა, პლუს კაცნაკლულნი დარჩნენ და მუსა დემბელემ ანგარიში გაათანაბრა – 1:1.

**სიტი-ბარსელონა 3:1**

0:1 მესი (21), 1:1 გიუნდოგანი (39), 2:1 დე ბრუინი (51), 3:1 გიუნდოგანი (74)

**სიტი:** კაბალიერო, საბალეტა, ოტამენდი, სტოუნსი, კოლაროვი, სტერლინგი (ნავასი 71), გიუნდოგანი, ფერნანდინიო (ფერნანდო 60), სილვა, დე ბრუინე (ნოლიტო 89), აგუერო

**ბარსელონა:** ტერ შტეგენი, სერხი რობერტო, მასკერანო, უმტიტი, დინი, რაკიტიჩი (თურანი 61), ბუსკეტსი, გომესი (რაფინია 76), მესი, ნეიმარი, ლ.სუარესი

დღის მთავარი დაპირისპირება მანჩესტერში იყო, სადაც ხოსეპ გვარდიოლას სიტი თავის ყოფილ ბარსელონასა და მეგობარ ლუის ენრიკეს მასპინძლობდა.

და მაინც, თავიდანვე სტუმრები დაწინაურდნენ – ბარსამ კონტრშეტევაზე დაიჭირა სიტი და 21-ე წუთზე ლეო მესიმ ანგარიში გახსნა, თუმცა 39-ე წუთზე რაჰიმ სტერლინგმა ცარიელ კარში გაატანინა ილქაი გიუნდოგანს.

გიუნდოგანმა მეორე ტაიმში გაიტანა და ანგარიში 3:1 გახადა, მანამდე კი კევინ დე ბრუინემ შესანიშნავი საჯარიმო დარტყმით სიტი წინ გაიყვანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 4 | 3 | 0 | 1 | 14-4 | 9 |
| 2.სიტი | 4 | 2 | 1 | 1 | 10-8 | 7 |
| 3.გლადბახი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 4 |
| 4.სელტიკი | 4 | 0 | 2 | 2 | 4-13 | 2 |

**მომდევნო ტური**

**23 ნოემბერი:** სელტიკი-ბარსელონა; გლადბახი-სიტი.

### დ ჯგუფი

**ატლეტიკო-როსტოვი 2:1**

1:0 გრიზმანი (28), 1:1 აზმუნი (30), 2:1 გრიზმანი (90)

**ატლეტიკო:** ობლაკი, ვრსალკო, სავიჩი, გოდინი, ფილიპე ლუიში, კოკე, გაბი, საული (გამეირო 58), ფერეირა-კარასკო (კორეა 79), გრიზმანი, ტორესი

**როსტოვი:** ჯანაევი, კალაჩევი (ტერენტიევი 73), მევია, ნავასი, გრანატი, კუდრიაშოვი, ნობოა, ეროხინი (პრეპელიტა 45), გაიტანი, აზმუნი (დუმბია 70), პოლოზი

სენსაციის სუნი დიდხანს ტრიალებდა „ვისენტე კალდერონზე“ და ალბათ ასეც მოხდებოდა, რომ არა მსაჯების შეცდომა, როდესაც კონპენსირებული დროის მე-4 წუთზე ანტუან გრიზმანს თამაშგარე მდგომარეობიდან გატანილი გოლი ჩაუთვალეს.

გრიზმანმა ატლეტიკოს პირველი გოლიც გაიტანა, რომელიც 2 წუთში გაქვითა როსტოველმა აზმუნმა.

**პსვ-ბაიერნი 1:2**

1:0 არიასი (14), 1:1 ლევანდოვსკი, 1:2 ლევანდოვსკი (34პ, 73)

**პსვ:** პასვეერი, არიასი, მირინი, მორენო, ვილემსი (ბრენეტი 46), შააბი, გუარდადო, პერეირო (ბერგვინი 67), პროპერი, რამსელაარი (ზინჩენკო 74), ლ.დე იონგი

**ბაიერნი:** ნოიერი, ლამი, ბოატენგი, ჰუმელსი, ალაბა, კიმიხი (კომანი 64), ჩაბი ალონსო, ვიდალი, მიულერი (სანჩესი 85), რობენი (კოშტა 64), ლევანდოვსკი

აქაც მოულოდნელად მასპინძლები დაწინაურდნენ – გოლი არიასმა გაიტანა, მაგრამ რობერტ ლევანდოვსკიმ ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა – პოლონელმა ჯერ პენალტით პირველივე ტაიმშივე გაათანაბრა, ხოლო 74-ე წუთზე ლევანდოვსკიმ დუბლი შეასრულა და ბაიერნიც ატლეტიკოსთან ერთად მერვედფინალში გავიდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 4 | 4 | 0 | 0 | 5-1 | 12 |
| 2.ბაიერნი | 4 | 3 | 0 | 1 | 11-3 | 9 |
| 3.პსვ | 4 | 0 | 1 | 3 | 4-9 | 1 |
| 4.როსტოვი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-10 | 1 |

**მომდევნო ტური**

**23 ნოემბერი:** როსტოვი-ბაიერნი; ატლეტიკო-პსვ.

# ბაგრატმა ლოკომოტივს მოუგო და აია გაალიდერა



დიდი 10-ის სარაგბო ჩემპიონატში ტრადიცია არც მერვე ტურში დარღვეულა და ლიდერი ისევ შეიცვალა. ლოკომოტივის „ტახტიდან ჩამოგდებაში“ ორივე ქუთაისურმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა...

მანამდე გეტყვით, რომ წვიმის გამო ყველა თამაში ხელოვნურ საფარზე გაიმართა. კლუბებმა მოისაკლისეს ბორჯღალოსნები, რომლებიც ნოემბრის ტესტების გამო ნაკრებში ემზადებიან. ამავე მიზეზით, ჩემპიონატში დაიწყო არდადეგები და შემდეგი ტური ნოემბრის ბოლოსკენ გაიმართება.

ლელოიანობამ იმატა – ამჯერად შეტევამ 18-ჯერ იძალა და საშუალო მაჩვენებელიც ოდნავ, (3.53) ამაღლდა, მე-40 მატჩში კი სეზონის პირველი წითელი ბარათიც გაიცა სახეში მუშტის ჩარტყმისთვის.

აია ავჭალაში ბონუსით უგებდა აკადემიას, მაგრამ შემდეგ შერკინების ჩაქცევისთვის ორჯერ დაისაჯა საჯარიმო ლელოთი და საბოლოოდ, 22:17 იმარჯვა.

ლოკომოტივმა ქუთაისში ბაგრატთან პირველი ტაიმი კი მოიგო, მაგრამ შემდეგ უდისციპლინობა შეეპარა, 3 სინბინი მიიღო და რკინიგზა მხოლოდ სანუგეშო ქულასღა დასჯერდა – 15:21.

აიას მდევრები – ლელო და ჯიქი ავჭალაში დაზავდნენ 13:13 და ჩემპიონატში პირველი ფრეც დაფიქსირდა.

მეორედ დასრულდა თამაში ნულზე – უძველესმა ქართულმა კლუბმა, ყოჩებმა 0:15 წააგო არმაზთან და ცხრილის ფსკერზე დაეშვა

არასტაბილურად მოასპარეზე არმია დამარცხდა ბათუმთან 15:22, ვინც გასვლაზე უფრო ყოჩაღობს, ვიდრე შინ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აია | 8 | 6 | 0 | 2 | 161:116 | 27 |
| 2.ლოკომოტივი | 8 | 6 | 0 | 2 | 142:97 | 26 |
| 3.ლელო სარასენსი | 8 | 5 | 1 | 2 | 150:127 | 25 |
| 4.ჯიქი | 8 | 4 | 1 | 3 | 149:97 | 23 |
| 5.ბათუმი | 8 | 5 | 0 | 3 | 137:119 | 22 |
| 6.არმია | 8 | 4 | 0 | 4 | 124:130 | 18 |
| 7.ბაგრატი | 8 | 3 | 0 | 5 | 141:150 | 16 |
| 8.აკადემია | 8 | 3 | 0 | 5 | 125:136 | 15 |
| 9.არმაზი | 8 | 2 | 0 | 6 | 100:180 | 9 |
| 10.ყოჩები | 8 | 1 | 0 | 7 | 102:179 | 7 |

# ფაჩულია და გოლდენ სტეიტი ისევ იგებენ

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები




ზაზა ფაჩულიას გოლდენ სტეიტმა სეზონის საშინაო წაგებით დაწყების შემდეგ სისწრაფე აკრიფა და ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა.

ოკლენდელები პორტლენდს ესტუმრნენ და იქაური თრეილ ბლეიზერსი 127:104 გაანადგურეს.

ქართველთა ცენტრი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და სტაბილურად ითამაშა. ზაზამ პარკეტზე ამჯერად 19 წუთი გაატარა. ეს უფრო იმით იყო გამოწვეული, რომ პორტლენდმა ნომინალური ცენტრის გარეშე ითამაშა და გოლდენ სტეიტსაც მეტი რა უნდოდა – „მეომრებმა“ სწრაფ და სნაიპერების ორთაბრძოლაში მეტოქე ყოველმხრივ დაჩაგრეს.

ფაჩულიამ 3-დან 2 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო და წინა მატჩის დარად 5 ქულა მოაგროვა, რასაც ქართველმა ცენტრმა 6 მოხსნა და 2 პასი მოაყოლა.

ოკლენდელთა ვარსკვლავურ გუნდში ხმაურიანი შეჭრა მოახდინა იან კლარკმა – ახალწვეულმა მსროლელმა, რომელმაც 25 წუთში 22 ქულა ისე მოაგროვა, ბურთი არ აუცილებია. კლარკი სათადარიგო იყო და მესამე მეოთხედი მისმა ზუსტმა სროლებმა ოკლენდელებს 41:20 მოაგებინა, რითაც საკმაოდ ძლიერი პორტლენდი საშინაო კედლებში წასაგებად გაიწირა.

სტეფ კარიმ 30 წუთში 28 ქულა ჩააგდო, ხოლო კევინ დიურანტმა 31 წუთში – 20 ქულა. უნივერსალიზმით გამოირჩა „მეომრების“ „შავი მარგალიტი“ დეიმონდ გრინი, რომელმაც 9 პასი, 8 მოხსნა, 6 ქულა, 3 ჩაჭრა და 2 დაფარება მიითვალა.

მომდევნო მატჩს ფაჩულიას გუნდი სეზონში წაუგებელ ოკლაჰომასთან, შინაურ არენაზე გამართავს.

## შედეგები

**1 ნოემბერი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

ლუდოგორეცი-არსენალი .............. 2:3
ბაზელი-პსჟ .................................. 1:2
პსვ-ბაიერნი .................................. 1:2
ატლეტიკო-როსტოვი ..................... 2:1
სიტი-ბარსელონა ........................... 3:1
გლადბახი-სელტიკი ........................ 1:1
ბენფიკა-დინამო (კ) ....................... 1:0
ბეშიქთაში-ნაპოლი ......................... 1:1

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

კლივლენდი-ჰიუსტონი ........... 128:120
ინდიანა-ლეიკერსი ................ 115:108
ფილადელფია-ორლანდო ....... 101:103
დეტროიტი-ნიუ იორკი ............ 102:89
მაიამი-საკრამენტო 108:96 ......... (ოტ)
მინესოტა-მემფისი .................... 116:80
ნიუ ორლეანი-მილუოკი ......... 113:117
სან ანტონიო-იუტა ...................91:106
პორტლენდი-გოლდენ სტეიტი 104:127
ზაზა ფაჩულია: .......5 ქულა, 6 მოხსნა

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# თვალი — ყველაზე ინფორმირებული ორგანო

## რა არის კარგი მხედველობის საიდუმლო

**თვალის კაკალი მხოლოდ 7-8 გრამს იწონის, ე.ი. სხეულის საშუალო წონის მხოლოდ 0,01%-ს შეადგენს, მაგრამ მისი საშუალებით გარემოდან ინფორმაციის 80-85%-ს ვიღებთ.**

კომპიუტერთან მუშაობის დროს თვალების ხშირი დახუჭვა და გახელა არ უნდა დაგვავიწყდეს — ეს თვალის რქოვანას ატენიენებს და თვალებსაც იცავს. კომპიუტერთან მუშაობისას მოკლე ხნით უნდა შევისვენოთ ხოლმე, რა დროსაც თვალები უნდა დავხუჭოთ და ქუთუთოებზე თითებით ნაზად გავიკეთოთ მასაჟი. ამის შემდეგ გავახილოთ თვალი და თავიდან ერთი, შემდეგ მეორე მიმართულებით წრიულად ვამოძრაოთ.

პერიოდულად მზერა უნდა მივაპყროთ ჯერ ახლო, შემდეგ კი შორ მანძილზე საგანს. ეს მონაცვლეობა თვალების კუნთებზე დადებით გავლენას ახდენს.

ვიტამინების ნაკლებობა თვალების სიწითლეს, ანთებას, ცრემლდენას, თვალების ტკივილს ან ბინდისას მხედველობის ნაკლებობას იწვევს. ვიტამინი ა მნიშვნელოვანია ჯანმრთელი თვალებისთვის.

ბეტაკაროტინი ყვითელ, წითელ და ნარინჯისფერ ხილსა და ბოსტნეულშია. ასევე მნიშვნელოვანია თვალებისათვის ვიტამინი ცე, რომელიც სისხლის მიმოქცევას უწყობს ხელს და სისხლძარღვთა კედლებს აძლიერებს. აღნიშნული ვიტამინი ჭარბად არის კივში, ციტრუსებში, ქაცვსა და ასკილში.

ვიტამინი ბე 2 ასევე მნიშვნელოვანია თვალებისათვის. ის განსაკუთრებით უხვად არის რძეში, ყველში, შინაურ ფრინველსა და ღვიძლში, ასევე ხორბლის ჩანასახსა და ქატოში.

თვალების ჩაშავება შესაძლოა შინაგანი დაავადების ბრალიც იყოს. შესიებული და ჩაშავებული თვალები შესაძლოა გენეტიკური იყოს ან მათ პერიოდულად ლიმფური სადინარების შეშუპება იწვევდეს, რა დროსაც ქსოვილებში დიდი ოდენობით სითხე რჩება.

ზოგიერთ ადამიანს თვალების ქვეშ ცხიმები უგროვდება, რომლებიც შემდგომ მოთეთრო ფერს იღებენ. იმისათვის რომ სითხის დაგროვება შევამციროთ, შეგვიძლია შლაკების გაწმენდისათვის საჭირო ზომები მივიღოთ და სპეციალური თვალის მოვლის საშუალებები გამოვიყენოთ.

თუ იგრძენით თვალებში წვა და ჭრა, სიწითლე, ძლიერი ცრემლდენა სასწრაფოდ ექიმს მიმართეთ, მაგრამ თქვენი მხრიდანაც საჭიროა გარკვეული ზომების მიღება.

1. დღეში არანაკლებ 6-8 ჭიქა წყალი დალიეთ.

2. რაც შეიძლება მეტი ბოსტნეული, ხილი, კენკრა ჭამეთ.

3. თვალებს ნუ დაისრესთ, ეს უსიამოვნო შეგრძნებებს უფრო გააძლიერებს.

4. კითხვის, ტელევიზორის ყურების, კომპიუტერთან მუშაობის დროს თვალი რაც შეიძლება ხშირად ახამხამეთ.

### გლაუკომა ზოგჯერ სიბრმავეს იწვევს

გლაუკომა თვალის მძიმე დაავადებაა, რაც თვალშიგა წნევის ამაღლებაში მდგომარეობს და ხშირად სიბრმავეს იწვევს.

თვალების წინ ცისარტყელას რგოლები, ხშირი თავის ტკივილი განსაკუთრებით კეფის არეში, ძლიერი ცრემლდენა და მხედველობის დაქვეითება გლაუკომის ნიშნებია.

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №11

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი.**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი.**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 0322 43 95 57

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა.**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე.**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის.**

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი.**

ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქუტირის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 730 მ3/წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა.**

ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქუტირის ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი.**

24 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %).**

2,4 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი.**

219 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 04 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 03 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 03 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 03 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა.**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები.**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №12

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი.**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი.**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 0322 43 95 57

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა.**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე.**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის.**

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას სს „სილქნეტი„-ს 2016 წლის 18 აპრილის №1783/24-8 წერილით განსაზღვრული მოთხოვნები.

თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი.**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. შუხუთის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 365 მ3/წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა.**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. შუხუთის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი.**

12 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %).**

1,2 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი.**

210 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 04 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 03 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 03 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 03 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა.**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები.**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

## ობიექტი №13

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი.**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი.**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 0322 43 95 57

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა.**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე.**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის.**

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ტერიტორიის შემოღობვა და დასუფთავება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი.**

მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. საგურამოს მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 70 000 მ3/წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა.**

მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. საგურამოს მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი.**

2 263 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %).**

226,3 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი.**

2 010 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 04 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 03 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 03 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 03 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა.**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები.**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №14

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი.**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი.**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 0322 43 95 57

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა.**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე.**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის.**

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება;

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო„-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში.

თ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;

ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

კ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი.**

დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჟინვალის მიმდებარე ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 3 650 მ3/წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა.**

დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფელ ჟინვალის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი.**

118 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %).**

11,8 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი.**

294 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 04 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 03 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 03 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 03 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა.**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები.**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №15

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი.**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი.**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 0322 43 95 57

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა.**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე.**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის.**

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ტერიტორიის დასუფთავება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი.**

ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქ. №44ბ, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 3 000 მ3/წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა.**

ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქ. №44ბ

**8. აუქციონის საწყისი ფასი.**

97 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %).**

9,7 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი.**

278 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 04 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 03 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 03 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 03 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა.**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები.**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

# ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში ცეცხლი გაჩნდა

ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში ცეცხლი გაჩნდა. დაიწვა ტაძარში მდგარი სასანთლე მაგიდა, რამაც გამოიწვია უნიკალური მხატვრობის ნაწილობრივ ჭვარტლით დაფარვა.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ვარძიაში შემთხვევისთანავე მიავლინა სპეციალისტები, გაგზავნილია სპეციალური ხარაჩო-დანადგარი.

დღეიდან იწყება არსებული მდგომარეობის ანალიზი და დიაგნოსტიკა. სპეციალისტების მიერ მოხდება კედლის მხატვრობის გაწმენდის მეთოდიკის შერჩევა, რის შემდეგაც დაიწყება გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოები.

ვარძიის სამონასტრო კომპლექსში ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი მოქმედი ტაძარია და იქ მუდმივად აღევლინება ღვთისმსახურება. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ შესაბამისი რეაგირების მოთხოვნით, მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს, დაწყებულია მოკვლევა.

ამ მომენტისათვის ეკლესია დაკეტილია და იქ შესვლა ვიზიტორებისა და ტურისტებისთვის დროებით შეზღუდულია.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო უკანასკნელი წლებია ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის გადარჩენის გეგმას ახორციელებს. მიმდინარეობს მულტიდისციპლინური კომპლექსური კვლევები და სამუშაოები, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის ინტერიერში წარმოდგენილი XII საუკუნის ფრესკების საკონსერვაციო მდგომარეობის კვლევა და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს ლონდონის უნივერსიტეტის კურტოს ხელოვნების ინსტიტუტთან, რომელიც სპეციალიზირებულია ხელოვნების ისტორიის შესწავლაზე და საერთაშორისო მასშტაბით დარგში აღიარებული უნივერსიტეტია. კურტოს ინსტიტუტთან და თბილისის სამხატვრო აკადემიასთან ერთად ოთხი წლის განმავლობაში მიმდინარეობს ვარძიის ღვთისმშობლის ტაძრის მხატვრობის დეტალური შესწავლა, დოკუმენტირება და საკონსერვაციო მდგომარეობის დიაგნოსტიკა. კვლევა ითვალისწინებს კედლის მხატვრობის საფუძვლის ფენის, ნალესობის ფენის, ფერწერული ფენის შესწავლას.

ლონდონის უნივესიტეტის კურტოს ხელოვნების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ ფაქტამდე ვარძიის სამონასტრო კომპლექსის მხატვრობის ბუნებრივი დაზიანების საფრთხე უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში არ არსებობდა.

# ნიკა გვარამია ნაირა გელაშვილს აკრიტიკებს



ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია მწერალსა და პუბლიცისტს ნაირა გელაშვილს აკრიტიკებს.

**ნიკა გვარამია:**

– ეს სრული იდიოტი ასეთი კარგი მწერალი როგორაა, ის გამკვირვებია. არადა, ძალიან კარგი მწერალია.

„არ შეიძლება „ნაცები“ პარლამენტში! ასეთ პარლამენტთან ერთად ხალხი ვერ იცხოვრებს! არ შეიძლება კიდევ უფრო ღრმა აზრითაც: თვით ლიბერალური ათეიზმით წელგამაგრებულებმაც არ შეიძლება მთლიანად უარყონ დანაშაულისა და ბედისწერის ერთმანეთზე გადაჯაჭვულობა! ვიდრე სისხლის სამართლისა და ზნეობრივი სამართლის დამნაშავეები პარლამენტში ისხდებიან და მათი ტრიბუნა „რუსთავი 2“ ასე გააგრძელებს მუშაობას, ქვეყანა სიკეთეს არ უნდა ელოდოს“, – ნაირა გელაშვილი.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# „ჰეროკრატიაში“ მიხეილ სააკაშვილის როლის შემსრულებელი სამსახურის გარეშე დარჩა

გოგა ხაინდრავას მიერ გადაღებული სერიალის „ჰეროკრატიის“ მთავარი გმირი, მიხეილ სააკაშვილის როლის შემსრულებელი, ნოდარ სიმსივე სამსახურის გარეშე დარჩა.

ნოდარი საფეხბურთო კლუბის „ლოკომოტივის“ პრესსამსახურის უფროსი იყო, მაგრამ რამდენიმე დღის წინ, სამსახურის დატოვება მოუწია. ამის მიზეზი მისი დაუსრულებელი გადარბენები და გადატვირთული გრაფიკი გახდა.

ნოდარ სიმსივე:

– ფიზიკურად ველარ ვახერხებდი სიარულს, ჩემი მთავარი ამოცანა, ახლა მხოლოდ „ჰეროკრატიაა“ და ამ გმირის ბოლომდე მიყვანა. მადლობა მთელ კლუბს იმისთვის, რომ ყველანაირად ხელს მიწყობდნენ და მამდიდრებდნენ, ბევრი რამ ვისწავლე ამ კლუბში. ფეხბურთი ჩემი მეორე საყვარელი საქმეა, რომლის გარეშეც არ შემიძლია ცხოვრება. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ხმამაღლა ვერ გეტყვით ჩემს სამომავლო გეგმებზე, რადგან არის დაგეგმილი ჩემი გამოჩენა ტელე სივრცეში, როგორც ფეხბურთის კომენტატორის და ველოდები ამ სიახლეებს. სჯობს დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. იმედი მაქვს, კინო-პროექტებიდან მივიღებ შეთავაზებას, ბედნიერი ვიქნები თუ როგორც ახლა, ასევე მომავალში, ჩემ ორ საყვარელ საქმეს ერთად გავაგრძელებ, კინოკარიერას და ფეხბურთის კომენტატორობას. ეს ორი საქმე მამდიდრებს.



სოციალურ ქსელში საგურამოს საფეხბურთო ბაზაზე გადაღებული ფოტოც დავდე, სადაც სააკაშვილის როლზე ვმუშაობ. ჩემთვის არ აქვს ადგილს და გარემოს მნიშვნელობა, როლზე მუშაობა ყოველთვის და ყველგან შეიძლება, მით უმეტეს, ისეთ კარგ გარემოში, რომელსაც საგურამოს ბაზა ჰქვია. საოცარი ადამიანები არიან. სამწუხაროდ, უკვე დავემშვიდობე ჩემს მეორე საყვარელ სამსახურს და წამოვედი.

# თინა მახარაძე გაქურდეს



მსახიობი თინა მახარაძე გაქურდეს. შემთხვევა რამდენიმე საათის წინ მოხდა.

ინფორმაცია ამის შესახებ მსახიობმა თავად გაავრცელა:

„რუსთაველზე მდებარე ერთ-ერთ მაღაზიაში, ვიღაც უცნობმა კლიენტმა გოგომ, რომელიც მეგობარ გოგოსთან ერთად იყო საყიდლებზე გამოსული, ხელს გააყოლა ჩემი პალტო – გრძელი, რუხი, ახალი, თბილი და ლამაზი (ზუსტად რა და როგორ მოხდა, არ აღვწერ: მეზარება, ვბრაზდები და სხვების მაგივრად მრცხვენია).

აქ გამიზნულ საქციელს ჰქონდა ადგილი: თავისი დეტექტორზე დატესტვით, რომ პალტოს სასიგნალო მოწყობილობა არ ჰქონდა მიმაგრებული, შემოწმებით, რომ სხვა ბრენდის იყო და არსებულ მაღაზიას არ ეკუთვნოდა, ჯიბეების მოსინჯვით, სახელოდან კაშნის ამოღებითა და იქვე მიგდებით და ბოლოს, ტერიტორიის კმაყოფილებით დატოვებით.

ამიტომ, ბევრი რომ არ ვილაპარაკო მაღაზიის მომსახურე პერსონალის სულელურ, გაუფრთხილებელ და უპასუხისმგებლო საქციელზე, არც იმაზე, რომ სხვისი ტანსაცმლის მითვისება არ არის კეთილშობილური საქციელი, არც იმაზე, როგორი გაუმართავია უსაფრთხოების სისტემა იმ მოლში, როგორ არასწორად არის განლაგებული კამერები და, ფაქტობრივად, არ ჩანს საჭირო წერტილები, ან თუ ჩანს, მხოლოდ – მქრქალი სილუეტებით, არც იმაზე, რომ პოლიცია არ გამოვიძახე იმიტომ, რომ მთელი იმ დავიდარაბის, რაც განყოფილებაში მრავალგზის გამოცდილ წოწიალსა და იქ საათების განმავლობაში უშედეგოდ გდებას ნიშნავს, აღარც დრო მქონდა და აღარც ნერვები, რადგან ის ნერვებიც, იგივე პროცედურის გავლისას, სრულად დავტოვე აღნიშნულ მაღაზიაში, საწყლად აქ მაინც დავიკნავლებ:

იმის გათვალისწინებით, რომ ის პალტო სულ რაღაც ერთი კვირის წინ მაჩუქა დიმუმ და ძალიან მიყვარდა, რომ ის იშვიათი პალტო იყო, რომელიც მომერგო (ექსტრა პეტიტს ვიცვამ, რაც ძალიან რთულად იშოვება) და გარდა ამისა, ერთ-ერთი სერიის ერთ ეპიზოდშიც მეცვა უკვე და მომდევნოშიც (რომელიც ჯერ არ გადაგვიღია) აუცილებლად უნდა მეცვას, ლოგიკური განგრძობადობა (ცონტინუიტუ) „რომ არ დაირღვეს, რა კარგი იქნებოდა, ვინმეს წერილი მომსვლოდა ინბოქსში, მე წავიღე შენი პალტო იმიტომ, რომ ბლა ბლა ბლა და აჰა, დაიბრუნე, მე ღმერთი უკეთესს მომცემსო.

თუ ასე არ მოხდება, ვეცდები, რამენაირად ვიპოვო იგივე ზომის იგივე პალტო და წარმატებები ვუსურვო იმ გოგოს, რომელსაც, იმედი მაქვს, ისევე მოუხდება ის პალტო, როგორც მე მიხდებოდა, მაგრამ ეჭვი მეპარება.“

# რომში ერთ-ერთ ქუჩას თბილისის სახელი დაერქმევა

რომში ერთ-ერთ ქუჩას თბილისის სახელი დაერქმევა. ამის შესახებ გადაწყვეტილება რომში გამართულ შეხვედრაზე იქნა მიღებული, რომელსაც რომის მერის მოადგილე ლუკა ბერაგამო, თბილისის მერის მოადგილე გიგა ნიკოლეიშვილი და თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ირაკლი ხუცურაული ესწრებოდნენ.

თბილისის მერის მოადგილე და მერიის ადმინისტრაციის უფროსი იტალიაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებიან. ვიზიტის ფარგლებში გიგა ნიკოლეიშვილი და ირაკლი ხუცურაული მონაწილეობენ მერების რიგით მეორე სამიტში სახელწოდებით „ერთობა მრავალფეროვნებაშია“ სამიტს 60-დე ქვეყნის ოფიციალური წარმომადგენელი ესწრება.

წლევანდელი სამიტის მთავარი თემაა კლიმატური ცვლილებები, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ბუნებრივი და ენერგორესურსების მართვა. გარდა ამისა, სამიტის ერთ-ერთი მთავარი თემაა კონფლიქტურ ზონებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, რომლებიც საფრთხის ქვეშ არიან.

ორი დღის განმავლობაში სამიტის მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება ბუნებრივი კატასტროფების პრევენციის, კლიმატის ცვლილებებისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის მიმართულებით.

კონფერენცია 4 ნოემბერს დაიხურება.

## კალეიდოსკოპი

# კუვეიტის სასამართლო თუთიყუშს მოწმედ არ აღიარებს



კუვეიტში ქალმა შინამოსამსახურესთან მეუღლის ღალატის შესახებ მოლაპარაკე თუთიყუშის წყალობით შეიტყო.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალმა, რომლის ვინაობა უცნობი დარჩა, ფრინველისგან მოისმინა ფრაზები, რომელიც სქესობრივი ურთიერთობისკენ მოუწოდებდა. მეუღლე მას ამგვარ სიტყვებს არასოდეს ეუბნებოდა. ამიტომ მან ჩათვალა, რომ მისი ქმარი ასეთი სიტყვებით მათ მოსამსახურე გოგონას მიმართავდა.

კუვეიტში ცოლქმრული ღალატი სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება. თუთიყუშის სიტყვები სამართალდამცავმა ორგანოებმა მტკიცებულებად მიიჩნიეს, თუმცა ფრინველის ჩვენება საქმის სასამართლო განხილვის დროს მტკიცებულებად არ იქნა გამოყენებული და შედეგად ქმარმა მოახერხა, პატიმრობა თავიდან აერიდებინა.

# დეტროიტში ძაღლი მთელი თვე ელოდებოდა პატრონს, რომელმაც მიატოვა



ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ დეტროიტში ძაღლი, რომელიც მისმა პატრონებმა მიატოვეს, მთელი თვე ელოდებოდა მათ მათ მიერ გადაგდებულ მატრასზე.

ფეისბუქის ერთ-ერთმა მომხმარებელმა საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ჩანაწერი, რომელშიც მიუთითა, რომ ძაღლი, სახელად ბუ, გადაყრილი ავეჯისა და ნაგვის მახლობლად წევს, რომლებიც მისმა ყოფილმა პატრონებმა სხვაგან საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ დატოვეს. რატომ არ წაიყვანეს ძაღლი, უცნობია.

მეზობლებმა მიტოვებული ძაღლის თაობაზე ცხოველთა ადგილობრივ თავშესაფარს აცნობეს. დაწესებულების თანამშრომლები ადგილზე მივიდნენ და საკვებისა და მოფერების შემდეგ მოახერხეს, ის ვეტერინართან მიეყვანათ.

ძაღლი დაახლოებით 11 საათის განმავლობაში მისი ყოფილი პატრონების მიერ ქუჩაში გადაყრილ ნივთებს არ სცილდებოდა.

# ბუდისტმა ღვთისმსახურმა მეძავის მომსახურება ყალბი ფულით გადაიხადა



იაპონიის ქალაქ ნაგოიას პოლიციამ ბუდისტი ღვთისმსახური მას შემდეგ დააპატიმრა, როდესაც მან ყალბი ფულით გადაიხადა 17 წლის მეძავის მომსახურების საფასური.

დადგენილია, რომ მიმდინარე წლის მარტში 28 წლის ხიროაკი კამბემ გოგონას ყალბი 10 ათასი იუანი მისცა (დაახლოებით 95 დოლარი) ქალაქ გიფუს ერთ-ერთ სასტუმროში შეხვედრის შემდეგ. სამართალდამცავ ორგანოებში ვარაუდობენ, რომ მამაკაცი ყალბ კუპიურებს ოგაკის ბუდისტურ ეკლესიაში ამზადებდა.

გოგონა მას შემდეგ მიხვდა, რომ მას მომსახურების საფასური ყალბი ფულით გადაუხადეს, როდესაც ნაგოიას აფთიაქში წამლის საყიდლად შევიდა.

სხვათა შორის, პოლიციელები ამტკიცებენ, რომ მათ კიდევ სამი 10 ათასი იუანის ნომინალის ყალბი კუპიურა აღმოაჩინეს, რომელთაც იგივე სერიული ნომერი ჰქონდათ.

მოხდა თუ არა თავად გოგონას რაიმე სახით დასჯა პროსტიტუციისთვის, უცნობია.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# პროგრამა

**ხუთშაბათი 3 ნოემბერი**

**06.00, 14.00** ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" **07.00** დოკ/სერ. **08.00** ანიმაცია. "მხიარული ფერმა" **08.40** "ტელემანი" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ტრიუმფი**" **12.20** მხ/ფ "**ჯუნიორი**" **15.00, 01.40** " x სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "ტელებლოგი" **22.30** "ვექტორი" **23.00** ტ/სერ. "**ამერიკელები**" **00.00** "უცნობი მუსიკა" **01.30** მხ/ფ "**ტყუილის გამოგონება**" (ჯ.გარნერი)

**08.00** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **09.00** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** მინი/სერ. "**ვეტერინარი**" **12.00** ტ/სერ. "**მეამბოხე მიწა**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **15.00, 18.00, 20.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ბირთვული კატასტროფა-იაპონიის ტრაგედია" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია** " **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ. "**პატარძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**ღირსების სახელით**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** სერ. "**ჰეროკრატია** (9+1)" **00.30** გრიფით საიდუმლო **01.00** მხ/ფ "**ბაზა**" **02.45** მხ/ფ "**კარლიტოს გზა**" **05.00** მხ/ფ "**გაქცევა**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**წითელი და შავი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** პროფილი **23.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" P.S. **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/ფ "**ვარსკვლავური ომები – მეამბოხეები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**სკანდალი**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00, 1.35** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** ცოლები და ქმრები **17.30** სერ. "**ახალი გოგო**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.30** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **23.30** მხ/ფ "**ბლეიდი 2**"

**06.15** სჯანი-პაპო-ცეზარიზმი და ცეზარო-პაპიზმი **06.40** პატერიკისიბრძნე ბალავარისა-იგავი სამი მეგობრის შესახებ **06.45** დ/ფ "აღდგომა თებერვალში წმინდა მამა გაბრიელი" **07.25** ქართული ალბომი **07.50** განთიადის სიუჟეტი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**ათოვდა ზამთრის ბაღებს**" II სერ. **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** გამოყენებითი ხელოვნება **15.05** ღვთის სახლი **15.20** ქართ. ან/ფ **15.30** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **16.05** დ/ფ "ველური ბუნება" **16.30** კონცერტი **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.20** დ/ფ **20.40** ძილი ნებისა "ორი ბავშვის განკურნება" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ლექციები მეფუტკრეობაზე **21.45** ამბიონი-კანონების შეცვლა **22.20** ჩვენი საგანძური **22.40** ქრისტიანული სწავლება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** დეკორატიული ფლორა **00.25** ისტორიის დღიური **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 1.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ."**კარმელიტა**" **10.00, 13.30, 2.00** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **11.00** სერ. "**გაზაფხულზე იბადება სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **14.30, 1.30** სერ. "**ორი გული**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.00, 2.45** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. "**გაზაფხულზე იბადება სიყვარული**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.10** სერ. "**გემი**" **23.00** სერ. "**ესკობარი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

3 ნოემბრისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4089 |
| ევრო | 2.6389 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2.9331 |
| 100 რუსული რუბლი | 3.8132 |

## ამინდის პროგნოზი 3 ნოემბრისთვის




## „გარდენია შევარდნაძის" ტერიტორიაზე ხანძარი გაჩნდა



ზურა შევარდნაძის მიერ წლების წინ ლოტკინის დასახლებაში დაარსებული დეკორატიული მცენარეების სანერგე „გარდენია შევარდნაძის" ტერიტორიაზე ხანძარი გაჩნდა.

ცეცხლი ხუდადოვის ქუჩაზე მდებარე შენობის 80 კვადრატულ მეტრს მოედო. საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, ადგილზე ხუთი სახანძრო ბრიგადა მივიდა და ცეცხლის დროულად ჩაქრობა შეძლო.

მათივე ინფორმაციით, ხანძარი ლოკალიზებულია და ცეცხლის გავრცელების საფრთხე აღარ არსებობს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ინტერის მწვრთნელი გუს ჰიდინკი გახდება?



მილანის ინტერის რამდენიმე დღის უმწვრთნელოდ დარჩა, რადგან ჰოლანდიელი სპეციალისტი ფრანკ დე ბური დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ინტერის ახალი თავკაცი გუს ჰიდინკი იქნება, რომელიც დე ბურის თანამემამულეა.

ჰიდინკი ევროპაში ძალიან ცნობილი სპეციალისტია და თავის დროზე მას უამრავ ქვეყანაში და გუნდში აქვს ნამუშევარი.

ინტერში ძალიან რთული მდგომარეობაა, რადგან მილანური გუნდი 11 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში მე-12 პოზიციას იკავებს, რაც ამ კლუბისთვის კატასტროფის ტოლფასია.

ინტერის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ახალი მწვრთნელი შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს იპოვის.

## იუვენტუსი ლუკაკუს ყიდვას აპირებს



ტურინის იუვენტუსი კიდევ ერთი ფორვარდის შეძენას გეგმავს.

ტურინელებმა თვალი ევერტონის ბელგიელ თავდამსხმელ რომელუ ლუკაკუს დაადგეს, რომელიც ევერტონის მთავარი გოლეადორია.

ლუკაკუში იუვენტუსი 50 მილიონი ევროს გადახდას აპირებს, რაც მეტად შთამბეჭდავი ციფრია.

ტურინელები ლუკაკუს ყიდვას ზამთარშივე შეეცდებიან, თუმცა ევერტონის მწვრთნელმა რონალდ კუმანმა განაცხადა, რომ ლუკაკუ გუნდის ლიდერია და ევერტონი მის გაყიდვას არ აპირებს.

რომელუ ლუკაკუ ევერტონში 2013 წელს გადავიდა და მას შემდეგ 113 შეხვედრაში 50 გოლის გატანა შეძლო.

## ადრიანო გალიანი, შესაძლოა, რეალში აღმოჩნდეს



მილანის გენერალური დირექტორი ადრიანო გალიანი, რომელიც ამ გუნდში 1986 წლიდან მუშაობს, სავარაუდოდ, მილანს დატოვებს, რადგან მან მილანის ახალ მფლობელებთან საერთო ენა ვერ გამონახა.

გალიანიმ დაადასტურა, რომ ნოემბრის ბოლოს მილანის დატოვებას აპირებს. გალიანის თქმით, მას ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ სად იქნება მისი შემდეგი სამუშაო ადგილი, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მადრიდის რეალის პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს სურს გალიანისთან ერთად მუშაობა.

ასე რომ, მილანის ლეგენდა შესაძლოა მადრიდის რეალში აღმოჩნდეს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

სახლში მისულმა სიძემ სიდედრს გოგრა მიართვა და ეუბნება:

– ძვირფასო სიდედრო! მთელი სულითა და გულით გილოცავთ თქვენს პროფესიულ დღესასწაულს – ჰელოუინს!

●●●

ბავშვი მამას ეკითხება:

– მამა, ჯადოქრები სინამდვილეში ხომ არ არსებობენ?

კაცმა იქვე სავარძელში მოკალათებულ სიდედრს გადახედა და შვილს მოუბრუნდა:

– ეეჰ, შვილო, შენხელა რომ ვიყავი, მეც მასე მეგონა.

●●●

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– რა შესანიშნავი საღამოა, ჩემთან ხომ არ წავიდეთ და ყავა დავლიოთ?

– არ ვიცი, ყავა ღამით...

– გთხოვ, უკვე ოთხი თვეა, ყავა აღარ დამილევია!

●●●

მამაკაცი სექს-მაღაზიაში გამყიდველს ეუბნება:

– თუ შეიძლება, ის რეზინის ქალი მომეცით.

– აი ინებეთ.

– ხომ ვერ მეტყვით, როდისაა გამოშვებული?

– 2016 წლის იანვარში.

– აუ, თხის რქაა? არა, არ მინდა.

●●●

ხანდაზმული მამაკაცი ავტობუსში ახალგაზრდას ეუბნება:

– ახალგაზრდავ, არ გრცხვენიათ, თქვენ ზიხართ და ის მოხუცი ქალბატონი კი ფეხზე დგას!

– ეგ ჩემი სიდედრია.

– მერე, ეგ ჩანთა მუხლებზე რომ გიდევს, ხელს არ გიშლის, მიეცი, ხელში დაიჭიროს და შენ თავისუფლად დაჯექი!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## 3 ნოემბრიდან

აკაკი ბელიაშვილი

თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა. ტომი 1

ისტორიული რომანი „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა" აკაკი ბელიაშვილის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია.

მასში მწერალი გამოჩენილი პოეტის ბიოგრაფიის ფონზე მხატვრულად და საინტერესოდ მოგვითხრობს იმდროინდელი საქართველოს სამეფო ოჯახის ცხოვრებას და საერთოდ, მე-18 საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას.

რომანი ბოლომდე შეუნელებელი ინტერესით იკითხება.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი







## 10 ნოემბრიდან

აკაკი ბელიაშვილი

თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა. ოქროს ჩარდახი. ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი


## ალეკო ამისულაშვილმა ვიაჩესლავ გროზნი შეაქო



როგორც მოგეხსენებათ, თბილისის დინამოს ვიაჩესლავ გროზნის სახით ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს.

გროზნი საკმაოდ გამოცდილი სპეციალისტია, რომელსაც თავის დროზე არაერთ რუსულ გუნდში უმუშავია. გროზნიმ უკვე დაიწყო თბილისის დინამოს გაწვრთნა და მან დინამოს კაპიტანზე ალექსანდრე ამისულაშვილზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ამისულაშვილის თქმით, ის სასიამოვნოდ გაკვირვებულია გროზნის მუშაობის სტილით და ფიქრობს, რომ რუსი სპეციალისტი დინამოში წარმატებას მიაღწევს. ამისულაშვილმა დაამატა, რომ გროზნი აქცენტს შემტევ, აგრესიულ ფეხბურთზე აკეთებს.

## მესის სიტის ფეხბურთელებთან უსიამოვნება მოუვიდა



ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეოთხე ტურის შეხვედრაში მანჩესტერ სიტიმ საკუთარ მოედანზე ბარსელონა 3:1 დაამარცხა.

მატჩის შემდეგ ბარსელონას ლიდერს ლიონელ მესის მანჩესტერ სიტის რამდენიმე ფეხბურთელთან შელაპარაკება მოუვიდა და ერთ-ერთ მათგანს მან იდიოტიც უწოდა. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუ ვინ იყვნენ ის ფეხბურთელები, ვისაც მესი ეჩხუბა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ მესი სერხიო აგუერომ დაამშვიდა, რომელიც მისი მეგობარი და თანაგუნდელია არგენტინის ნაკრებში.

ჯერჯერობით თვითონ მესის ამ ინციდენტთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ლიბანის დედაქალაქი; 2. იაპონიის ერთ-ერთი კუნძული; 3. ყოველდღიური გაზეთი ბრიტანეთში; 4. ქართული ნაციონალური კერძი; 5. უეშმაკო, გულუბრყვილო ადამიანი; 8. სატირული სიუჟეტის დრამატული ნაწარმოები; 9. ფერწერული ტილო, „შავი კვადრატის" ავტორი; 12. ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის კანონების კრებული; 13. ძველი ქართული დამწერლობა; 16. ქართული გეოლოგიური სკოლის ფუძემდებელი; 17. ყირიმის ძველი სახელწოდება; 19. მკბენარა მწერი; 20. ჯუზეპე ვერდის ოპერა.

**თარაზულად:** 6. ელჩის გამოწვევა სახელმწიფოდან; 7. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 8. ძვირფასი ქვების წონის ერთეული; 10. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ლამასებრთა ოჯახის, ძვირფასბეწვიანი შინაური ცხოველი; 11. ირლანდიური ცეკვა; 14. „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 15. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 18. იაპონური თეატრი, სადაც ყველა როლს მამაკაცები ასრულებენ; 21. მკვრივი ქანების სანგრევი, ორ წვეტიანი პირის მქონე რკინის იარაღი; 22. პატარა ბაღი; 23. აღმოსავლეთ საქართველოს ძველი სახელწოდება; 24. ქართული მონასტერი ბულგარეთში.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

